განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
# უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

„მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
6 ოქტომბერი 2021 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი
16 ნოემბერი 2021 წელი

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 211349192 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | მოდის დიზაინის ტექნოლოგიები<br>Fashion Design and Technology |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | დიზაინის ბაკალავრი<br>Bachelor of Design |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0212 – მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება<br>(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | – |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 კრედიტი |
| პროგრამის სტატუსი<br>(ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია)<br>შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | პირობით აკრედიტებული<br>გადაწყვეტილების თარიღი 06.03.2020<br>გადაწყვეტილების №20 |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მაია გრძელიძე<br>აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ეკატერინე ჩხუტიშვილი<br>აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, თბილისი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამარ გვიანიშვილი<br>ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ქეთევან ოჩხიკიძე<br>საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

1938-39 წლებიდან საქართველოში ფუნქციონირება დაიწყო საკავშირო საფეიქრო დაუსწრებელი ინსტიტუტის თბილისის ფილიალმა, სადაც მზადდებოდა მსუბუქი მრეწველობის დარგის სპეციალისტები. 1950 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე შეიქმნა საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის კათედრა, რომელიც ამზადებდა დართვის, ქსოვისა და ფეხსაცმლის სპეციალობის ინჟინერ–ტექნოლოგებს. ცოტა მოგვიანებით დაემატა ტრიკოტაჟისა და სამკერვალო ნაწარმის ტექნოლოგიების სპეციალობები. 1956-57 წწ. საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შეიქმნა მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტი, რომელიც 1972-73 სასწავლო წლიდან გადატანილი იქნა ქუთაისის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1992-93 სასწავლო წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში განახლდა მიღება მსუბუქი მრეწველობის შემდეგ სპეციალობებზე: სამკერვალო ნაწარმის მოდელირება და ტექნოლოგია, საფეიქრო ნაწარმთა ტექნოლოგია და მენეჯმენტი, ტყავ-ბეწვეულის დამუშავების ტექნოლოგია და მენეჯმენტი, ქართული ხალხური რეწვა, სიძველეთა რესტავრაცია, ოქრომჭედლობა და დიზაინი.

2012 წლიდან „პოლიგრაფიისა და მსუბუქი მრეწველობის“ დეპარტამენტის ბაზაზე ფუნქციონირება დაიწყო „მსუბუქი მრეწველობის ნაწარმთა“ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებმა. ხოლო 2015 წლიდან არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე, „დიზაინისა და ინტერიერის“ დეპარტამენტში ხორციელებოდა საბაკალავრო პროგრამა „სამოსის დიზაინი“.

2019 წლიდან „სამოსის დიზაინი“–ს პროგრამის მოდიფიცირების საფუძველზე მოხდა ახალი კომპლექსური პროგრამის ფორმირება განახლებული სახელწოდებით „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“, რომელიც პროგრამის ინიციატორების გათვლით ორიენტირებული იქნებოდა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაზე მოდის დიზაინის ტექნოლოგიებში.

ბაკალავრიატის საგანმანთლებლო პროგრამა „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ შემუშავებულ იქნა მსუბუქი მრეწველობის დარგში აღიარებულ თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ასევე მსგავსი უცხოური საგანმანათლებლო პროგრამების შესწავლით, ანალიზითა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (გადაწყვეტილება N20, 06.03.2020) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ მიენიჭა 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაცია.

პროგრამის პირობითი აკრედიტაციის პირველივე 2020-2021 სასწავლო წელს პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირთა რაოდენობამ 20 ვაკანტურ ადგილზე პირველი რეგისტრაციით შეადგინა - 28, ჩაირიცხა – 20, ხოლო 2021-2022 სასწავლო წელს პირველი რეგისტრაცია გაიარა - 37–მა, ჩაირიცხა 17. აღნიშნულით დასტურდება აბიტურიენტთა ინტერესი პროგრამის მიმართ, რაც პროგრამისათვის დადებითი მახასიათებელია.

პროგრამის რეაკრედიტაციისთვის მზადების პროცესში განხორციელებულია დამსაქმებლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების, უცხოური უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკისა და მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე დაინტერესებული მხარეების - სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პროგრამის განმახორციელებელი პირების და დარგის სპეციალისტების მოსაზრებებისა და რჩევების შესწავლა-ანალიზი. შედეგად განხორციელებულია საბაკალავრო პროგრამისა და სასწავლო კურსების მოდიფიცირება. სადაც ასევე გათვალისწინებულია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში დაწვრილებით არის აღწერილი აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებსა და რჩევებზე პროგრამის განმახორციელებული ჯგუფის მიერ ჩატარებული ყველა აქტივობა, მტკიცებულებების მითითებით. კერძოდ:

1. პროგრამის აღწერით ნაწილსა და სტრუქტურაში მკაფიოდ გამოიყო ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები;

2. პროგრამის აღწერით ნაწილში შეიცვალა სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების ნაწილი, რომელიც კორექტირებული სახით გადატანილ იქნა სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის აღწერაში;

3. დაიხვეწა საბაკალავრო პროგრამისა და სასწავლო კურსების სილაბუსების სწავლის შედეგების ფორმულირებები, სადაც კიდევ უფრო ზუსტად აისახა მოდის დიზაინის სფეროს თავისებურებები;

4. საბაკალავრო პროგრამასა და სილაბუსებში დაკორექტირდა სწავლება-სწავლის მეთოდების ჩამონათვალი და ამასთან ამოღებულ იქნა მათი შესაბამისი აქტივობების განმარტებები;

5. პროგრამაში, როგორც შინაარსობრივად, ისე სტრუქტურულად შეიცვალა ორი, 5-5 კრედიტიანი სასწავლო კურსი, კერძოდ „დარგის მენეჯმენტი (კორპორაციული მენეჯმენტი, ბიზნესის ადმინისტრირება, პერსონალის მართვა)“ და „ნაწარმის მარკეტინგი და რეკლამირება (PR, ბრენდინგი, სპონსორინგი, ფანდრაიზინგი)“, რომლებიც ჩანაცვლდა ასევე 5-5 კრედიტიანი ახალი სასწავლო კურსებით „მოდა და ბიზნესი“ და „მარკეტინგის საფუძვლები“. შესაბამისად, პროგრამაში შეიცვალა ამ საგანთა კოდები. უცვლელი დარჩა სწავლების სემესტრი და სწავლება-სწავლის მეთოდები (15 სთ. ლექცია, 30 სთ. სემინარი), დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი საათების ხარჯზე გაიზარდა შუასემესტრულისა და დასკვნითი გამოცდისთვის განკუთვნილი საათები, კერძოდ, იყო 1 სთ შუასემესტრული, 1 სთ დასკვნითი გამოცდა და 78 სთ დამოუკიდებელი მუშაობა, გახდა 2 სთ შუასემესტრული, 2 სთ დასკვნითი გამოცდა და 76 სთ დამოუკიდებელი მუშაობა;

6. სასწავლო კურსების: „ტექსტილის ნაწარმის საწყისი ტექნოლოგიური დამუშავება“, „გამოყენებითი ანთროპოლოგია და ბიომექანიკის საფუძვლები“, „ტყავის ნაწარმის კონსტრუირების საფუძვლები - ანთროპომეტრია“; „დარგის საწარმოო ტექნიკა“ შინაარსი დაკორექტირდა და შევიდა ის საკითხები, რომელიც სტუდენტებს ფართოდ ასწავლის დარგის ისტორიასა და ტენდენციებს.

7. პროგრამის 2 სასწავლო კურსში - „ტექსტილის ნაწარმის კონსტრუირება“, „ტექსტილის ნაწარმის ტექნოლოგია,“ შევიდა სპეციალური დანიშნულების სამოსის კონსტრუქტორულ-ტექნოლოგიური დამუშავების საკითხები;

8. საბაკალავრო პროექტის სილაბუსში მკაფიოდ გაიწერა საკვალიფიკაციო მოთხოვნები (შექმნილი კოლექციის ერთეულთა მინიმალური რაოდენობა, მისი სინთეზური ხასიათი, შეფასების კრიტერიუმები) და საკუთრივ დაცვის ფორმატი. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა გულისხმობს პორთფოლიოსა და მასალაში შესრულებული კოლექციის (3 კოსტიუმი) დასრულებული სახით წარდგენას და დაცვას.

9. მოხდა პროგრამის გამდიდრება, როგორც ქართულენოვანი, ისე უცხოენოვანი სასწავლო რესურსით. ასევე მომზადდა სპეციალობის 2 სალექციო კურსი;

10. გასწორდა ტექნიკური ხარვეზები.

პროგრამის დაშვების წინაპირობაში გათვალისწინებულია პოთფოლიოს წარდგენა და გასაუბრება სპეციალური კომისიის წინაშე, რომლის შეფასებისათვის უნივერსიტეტში შემუშავებულია „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე საბაკალავრო პროგრამაზე "მოდის დიზაინის ტექნოლოგიები" სწავლის გაგრძელების მსურველთათვის ხატვაში გასაუბრების ჩატარების დებულება“.

განახლებულ პროგრამაში შეტანილია სასწავლო კურსები „კულტურული მემკვიდრეობა და მოდური ტენდენციები,“ „ქართული კოსტუმის ისტორია“ და „ქართული ნაციონალური კოსტიუმის კონსტრუქტორულ-ტექნოლოგიური დამუშავება“, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტებში ეროვნული, კულტურულ-ტრადიციული ღირებულებების ამაღლებას და დაეხმარება მათ შემოქმედებითი იდეის ფორმირების პროცესში.

პროგრამის რეაკრედიტაციისთვის მომზადების პროცესში ჩატარებული კვლევების საფუძველზე პროგრამაში გაზრდილია პრაქტიკული კომპონენტის წილი. ამ მიზნით გაფორმებულია მემორანდუმები დარგის წამყვან საწარმოებთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ აგებულია დარგის სპეციალისტების, სტუდენტების განმახორციელებლი პერსონალის და პირველადი აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციების და რჩევების გათვალისწინებით, დარგისათვის ღირებული სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების მისაღწევად.

პროგრამა სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით შეესაბამება სფეროს: 0212 – მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი, კვალიფიკაციით: დიზაინის ბაკალავრი. ამასთან, პროგრამა შესაბამისობაშია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიასა და უნივერსიტეტისა და არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს. სასწავლო გეგმა შესაბამისობაშია პროგრამის მიზანთან და სრულად უზრუნველყოფს გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაზე გათვალისწინებულია ყოველწლიურად 20 სტუდენტის მიღება. პროგრამის განხორციელებისათვის გათვალისწინებული ადამიანური, მეთოდური  და მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას. სწავლა/სწავლების და სტუდენტთა მიღწევების შეფასების მეთოდები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის შესაბამის დებულებებთან და უზრუნველყოფს სტუდენტთა შედეგების სამართლიან და გამჭვირვალედ შეფასებას.

ზოგადი ინფორმაცია სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შესახებ დასტურდება პროგრამის თვითშეფასების ანგარიშითა და თანდართული დოკუმენტაციით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 6 ოქტომბერს. ვიზიტი განხორციელდა ონ–ლაინ (კომუნიკაციის ელექტრონული პლატფორმა ZOOM–ის გამოყენებით), ხოლო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასება განხორციელდა ჰიბრიდულად, ექსპერტთა ჯგუფის ორი წევრის ადგილზე ვიზიტით, ორი კი ჩართული იყო პლატფორმა ZOOM–ის სა-

შუალებით. ვიზიტი წარიმართა მშვიდ, კონსტრუქციულ გარემოში. წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით ჩატარდა ყველა დაგეგმილი შეხვედრა. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებულ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, მათ შორის რექტორის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, საფინანსო დეპარტამენტის უფროსს, ბიბლიოთეკის წარმომადგენლებს, არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზანის ფაკულტეტის დეკანს, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამების სტუდენტებს და მონათესავე პროგრამის „სამოსის დიზაინის“ კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს. გადამოწმდა ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, ელექტრონული ბაზების ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა ფაკულტეტის დეკანს, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებს, პროგრამის ხელმძღვანელს და განმახორციელებელ პერსონალს გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას დადგინდა, რომ:

- პირველი სტანდარტის 1.1. კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 1.2. მეტწილ შესაბამისობაშია, შესაბამისად **პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;**
- მეორე სტანდარტის 2.1. და 2.2. კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 2.3 მეტწილად შესაბამისობაშია, 2.4, 2.5 და 2.6 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. შესაბამისად, **მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;**
- 3.1 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. შესაბამისად, **მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;**
- 4.1, 4.2, 4.3 და 4.4 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. შესაბამისად, **მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;**
- 5.1 და 5.2 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 5.3 კომპონენტი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. შესაბამისად, **მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

- **რეკომენდაციები**

1. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის უნდა მიეთითოს შეფასების ინდიკატორები და შეფასების ინსტრუმენტები, რაც გათვალისწინებულია დოკუმენტში „არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“;
2. სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსის სილაბუსები და რიგი სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალს დაემატოს კურსის განხორციელებისათვის აუცილებელი ლიტერატურა (მაგ.: „გამოყენებითი ანთროპოლოგია და ბიომექანიკის საფუძვლები“ ძირითად ლიტერატურას დაემატოს ტანაგებულების ანთროპომეტრიასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო; სილაბუსში „ტყავის ნაწარმის კონსტრუირების საფუძვ-

ლები - ანთროპომეტრია“ – უნდა დაემატოს ტყავის ნაკეთობათა კონსტრუირების საფუძვლების შესაბამისი ლიტერატურა);

3. უცხოეთის უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან დადარების შედეგები უნდა იყოს ფორმალიზებული ანალიზის დოკუმენტში, რომლის მეშვეობით დადგინდება უცხოეთის უსდ-ების პროგრამებთან დადარების შედეგები, მათ შორის - თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რა ასპექტები და მიდგომები იყო გათვალისწინებული პროგრამის და/ან მისი ცალკეული კომპონენტების დონეზე.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. მიზანშეწონილია გადაიხედოს პროგრამის კურიკულუმში გამოყენებული ტერმინების სისწორე, მაგ., ტერმინი „ძირითადი სპეციალობა“ შეიცალოს ტერმინით „სწავლის ძირითადი სფერო“.
2. სასწავლო კურსის „კოსტუმის ისტორია“ წინაპირობად სასწავლო კურსი „შესავალი ხელოვნების ისტორიაში“ შესაძლებელია იქნას ამოღებული;
3. სასწავლო კურსის „ქართული ეროვნული სამოსის და ორნამენტის ისტორია“ წინაპირობად სასწავლო კურსი „კოსტუმის ისტორია“ შესაძლებელია იქნას ამოღებული;
4. მიზანშეწონილია პროგრამის სასწავლო გეგმის „ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები“–დან კურსები, „წრფივი ალგებრისა და კალკულურის ელემენტები, „უცხოური ენა“, „არჩევითი ჰუმანიტარული საგნები“, „თავისუფალი კომპონენტი“ – გატანილი იქნას სწავლის ძირითადი სფეროს საგანთა ჯგუფიდან;
5. სასურველია არჩევითი საგნების ოთხი ჯგუფის ნაცვლად, არჩევანის თავისუფლების უზრუნველსაყოფად, პროგრამაში არჩევითი საგნები შეტანილი იქნას ერთ ჯგუფად და სტუდენტებს სურვილის შესაბამისად მიეცეთ 20 კრედიტის არჩევის საშუალება.
6. სასურველია სასწავლო კურსს „წრფივი ალგებრისა და კალკულუსის ელემენტები“ დაემატოს ალბათობის თეორისაა და მათემატიკური სტატისტიკის საკითხები;
7. მიზანშეწონილია სასწავლო კურსის „ტექნიკური ნახაზი მოდის დიზაინში“ შინაარსს დაემატოს ფეხსაცმლის დეტალების ტექნიკური ნახაზების აგების საკითხები;
8. სასურველია სასწავლო კურსის „ხარისხის მართვა“ შინაარსს დაემატოს ფეხსაცმლის ხარისხის შეფასების საკითხები;
9. სასურველია მასალათმცოდენობის, კონსტრუირების და ტექნოლოგიის მიმართულების სასწავლო კურსებში გათვალისწინებული იქნას სპეცეკიპირებასთან დაკავშირებული საკითხები.
10. სასურველია უნივერსიტეტმა და პროგრამის განმახორციელებლმა ჯგუფმა აქტიურად იმუშაოს სტუდენტთა ინფორმირებულობის კუთხით, რათა დროულად და სრულყოფილად მიეწოდოთ ინფორმაცია ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიებების შესახებ;
11. სასურველია ქვეყნის მასშტაბით სხვა უნივერსიტეტების მონათესავე დარგის პროგრამების სტუდენტებთან ერთობლივ ღონისძიებებში, კონკურსებში და გამოფენებში მონაწილეობა, გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობითი საქმიანობის სფეროს გაფართოების მიზნით;
12. სასურველია პარტნიორ საწარმოთა რიცხვის და პროფილის გაზრდა, სტუდენტთათვის საწარმოო პრაქტიკის არეალის გაფართოებისათვის;
13. სასურველია პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული იყოს სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა, საწარმოს მასშტაბების გათვალისწინებით;
14. სასურველია, რომ სტუდენტები გარკვეული იყვნენ სწავლება–სწავლის მეთოდების არსში და კონკრეტული სასწავლო კურსისათვის გამოყენებული მეთოდების შესახებ ინფორმაცია მიიღონ კურსის საწყის ეტაპზე;

15. მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სილაბუსებში დაკორექტირეს შეფასების კრიტერიუმების ფორმულირება, ასევე მიმდინარე აქტივობის საერთო შეფასებაში პრაქტიკული/ლაბორატორიული დავალებების შესრულებასა და დისკუსიაში მონაწილეობის შეფასებას შორის ქულათა თანაფარდობა;
16. სასურველია, სტუდენტთა კარიერული განვითარების მიმართულებით ღონისძიებათა უზრუნველყოფა და სტუდენტური პროექტების დაფინანსების პროგრამების შესახებ ინფორმირებულობის მექანიზმის გაუმჯობესება;
17. სასურველია პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა იზრუნოს ახალგაზრდა კადრების აღზრდასა და პროფესიონალად ჩამოყალიბებაზე – პროგრამის შემდგომი სიცოცხლისუნარიანობის აუცილებლობიდან გამომდინარე;
18. სასურველია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საერთაშორისო აქტივობების და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის რაოდენობრივი მაჩვენებელების ამაღლება;
19. პროგრამის წარმატებული განვითარებისათვის სასურველია პერსონალის საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის გააქტიურება, გაცვლითი და ერთობლივი პროგრამების განხორციელება, ურთიერთთანამშრომლობის უფრო მეტად გაღრმავება-განვითარება მიმართულების, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით;
20. მიზანშეწონილია პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის უსდ-ების დარგის სპეციალისტების მიერ.

**ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების არგუმენტირებული პასუხის განხილვის შედეგი:**

<u>რეკომენდაცია #1:</u> "პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის უნდა მიეთითოს შეფასების ინდიკატორები და შეფასების ინსტრუმენტები, რაც გათვალისწინებულია დოკუმენტში „არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“ - რეკომენდაცია გაზიარებულია და როგორც უსდ აღნიშნავს - უკვე გაკეთებული. რადგან ვიზიტის შემდგომ შექმნილი დოკუმენტები მხედველობაში არ მიიღება, ამიტომ რეკომენდაცია და სტანდარტის კომპონენტის შეფასება რჩება უცვლელად.

<u>რეკომენდაცია #2</u>: „სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსის სილაბუსები და რიგი სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალს დაემატოს კურსის განხორციელებისათვის აუცილებელი ლიტერატურა (მაგ.: „გამოყენებითი ანთროპოლოგია და ბიომექანიკის საფუძვლები“ ძირითად ლიტერატურას დაემატოს ტანაგებულების ანთროპომეტრიასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო; სილაბუსში „ტყავის ნაწარმის კონსტრუირების საფუძვლები - ანთროპომეტრია“ – უნდა დაემატოს ტყავის ნაკეთობათა კონსტრუირების საფუძვლების შესაბამისი ლიტერატურა)“.
რეკომენდაცია ნაწილობრივ იქნა გაზიარებული, უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის თანახმად, სასწავლო კურსთან „გამოყენებითი ანთროპოლოგია და ბიომექანიკის საფუძვლები“ დაკავშირებით სილაბუსის ძირითად ლიტერატურაში ერთ-ერთ სასწავლო-მეთოდურ მასალად მითითებულია „დათუაშვილი მ., უგრეხელიძე ი., ჩარკვიანი ი. - ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირება», რომლის I თავში მოცემულია ფიგურის ანთროპომორფოლოგიური მახასიათებლები (1.1. ქვეთავში განხილულია ფიგურათა დახასიათება ტანადობის მიხედვით, გვ. 7-27), მაგრამ ტანაგებულების ანთროპომეტრიისა და ბიომექანიკის, დინამიკაში ზომითი პარამეტრების ეროგონომიკული გამოკვლევის, ზომითი ტიპოლოგიის და სტანტარტული სკალების აგების საკითხების შესწავლის მიზნით

აღნიშნული მასალა საკმარისი არ არის, ამიტომ რეკომენდაცია რჩება უცვლელი და სტუდენტთა სწავლის შედეგის მისაღწევად აუცილებელია ძირითადი ლიტერატურის გადახედვა და შევსება შესაბამისი ლიტერატურით. ასევე სასწავლო კურსისათვის „ტყავის ნაწარმის კონსტრუირების საფუძვლები - ანთროპომეტრია“ ძირითად ლიტერატურაში მითითებული სახელმძღვანელოები ეხება მხოლოდ ანთროპომეტრიას. ხოლო ტყავის ნაკეთობათა კონსტრუირების საფუძვლების შესასწავლად შესაბამისი, თანამედროვე ლიტერატურა სილაბუსში მითებული არ არის. ამიტომ რეკომენდაცია და სტანდარტის კომპონენტის შეფასება რჩება უცვლელად;

<u>რეკომენდაცია #3</u>: "უცხოეთის უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან დადარების შედეგები უნდა იყოს ფორმალიზებული ანალიზის დოკუმენტში, რომლის მეშვეობით დადგინდება უცხოეთის უსდ-ების პროგრამებთან დადარების შედეგები, მათ შორის - თანა-მედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რა ასპექტები და მიდგომები იყო გათვალისწინებული პროგრამის და/ან მისი ცალკეული კომპონენტების დონეზე." - რეკომენდაცია გაზიარებულია უნივერსიტეტის მიერ და მიმდინარეობს მუშაობა ამ მიმართულებით, როგორც არგუმენტირებულ პასუხში არის მითითებული. რადგან ვიზიტის შემდგომ შექმნილი დოკუმენტები მხედველობაში არ მიიღება, ამიტომ რეკომენდაცია და სტანდარტის კომპონენტის შეფასება რჩება უცვლელად.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

1. სტუდენტური ნამუშევრების კატალოგი და შესრულებული მზა ნამუშევრების გა-მოფენა;
2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით საქართ-ველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილი პროფესიული განვითარების ცენტრი, სადაც პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი გადის ტრენინგებს შემდეგი მიმართულებით: კარიერის დაგეგმვა; სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიები; სწავლის შედეგები და მათი შეფასება;
3. სტუ-ში და ფაკულტეტებზე ფუნქციონირებადი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერა-ტურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოები, პროგრამებისათვის შესაბამისი სასწავ-ლო-მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფის მიზნით.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

  -

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ (შემდგომში - პრროგრამა) მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული და ითვალისწინებს დიზაინის ბაკალავრების მომზადებას შრომის ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, მოდის დიზაინის ტექნოლოგიების სფეროში, როგორც მხატვრულ-ტექნიკურ მოდელირებაში, ასევე თანამედროვე ნოვატორულ და კრეატიულ ტექნოლოგიებში შესაბამისი ცოდნითა და უნარებით. პროგრამა, შემადგენელი სასწავლო კურსებით შეძლებს უზრუნველყოს სტუდენტისათვის როგორც თეორიული ცოდნის მიცემა, ასევე პრაქტიკული უნარების გამომუშავება თანამედროვე საზოგადოების მზარდი მოთხოვნების შესაბამისი ვიზუალურ–სამომხმარებლო პარამეტრების მქონე პროდუქციის წარმოებისათვის.<br>წარმოდგენილი პროგრამა ორწლიანი პირობითი აკრედიტაციის შედეგად მიცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით არის მოდიფიცირებული. მისი მიზნები და სწავლის შედეგები ლოგიკურ კავშირშია ერთმანეთთან, რეალისტური და მიღწევადია.<br>პროგრამის მიზანი შეესაბამება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) მისიას, ასევე შესაბამისობაშია არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის მისიასთან, მიზნებთან, ამოცანებთან და საქმიანობის ძირითად მიმართულებებთან, სტრატეგიული განვითარების და 3-წლიან სამოქმედო გეგმებთან, რომლის შესაბამისად ხორციელდება დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მჭიდრო თანამშრომლობა.<br>მოდის ინდუსტრიისა და, შესაბამისად, კოსტუმის (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, აქსესუარები) წარმოების სფერო ქვეყნის ერთ–ერთი ფართო, მრავალფეროვანი და მაღალრენტაბელური დარგია. ამიტომ, მის განვითარებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი, როგორც ინვესტიციების მოზიდვის, ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების ორგანიზების, სხვადასხვა ასაკის მოსახლეობის დასაქმების მაჩვენებლის ზრდის და ეროვნული შემოსავლების მატების წინაპირობა. ბოლო ათწლეულში ქვეყანაში აღნიშნული სფეროს მასშტაბები საგრძნობლად გაიზარდა. შესაბამისად, ამ დარგის მზარდი მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებზე კიდევ უფრო გაიზარდა. რაც დადსტურდა კიდეც დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების გაცნობითა და მათთან ინტერვის დროს. განსაკუთრებით იზრდება მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ კონსტრუქტორებსა და ტექნოლოგების პოზიციებზე.<br>პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის ინიცირებით განხორციელდა უკვე არსებული პროგრამის მოდიფიცირება იმ გათვლით, რომ ეს კომპლექსური პროგრამა ორიენტირებული იყოს დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტების მომ- |

ზადებაზე მოდის დიზაინის ტექნოლოგიებში.

პროგრამაში შეტანილია ყველა ის სასწავლო კურსი, რომელიც ხელს შეუწყობს შემოქმედებითი, კონსტრუქტორულ-ტექნოლოგიური მიმართულებით სპეციალისტების ჩამოყალიბებას.

პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ვებგვერდზე. ასევე, უნივერსიტეტის ვებგვერდის საშუალებით სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს. პროგრამაში ჩართული პირების მიერ გაზიარებულია პროგრამის განვითარებისა და განხორციელების ყველა ეტაპის აქტივობები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“;
- პროგრამის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ სტუ–სა და არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024 წწ;
- არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დებულება;
- არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა (7 წლიანი), მისია, მიზნები და ამოცანები;
- დამსაქმებლების გამოკითხვის და ინტერვიუს შედეგები;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის და დეპარტამენტის ოქმები;
- დარგის სპეციალისტების რეცენზია პროგრამაზე;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ვებგვერდი.

**რეკომენდაციები:**

–

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

–

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

–

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

–

**შეფასება**

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ (შემდგომი - პროგრამა) აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები, სწავლა/სწავლების და შეფასების მეთოდები სტუდენტს განუვითარებს პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელ როგორც ზოგად, ისე დარგობრივ კომპეტენციებს. პროგრამის შედეგებში აღწერილია ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის ათვისების პერიოდში, ლოგიკურ შესაბამისობაშია პროგრამის მიზანთან.

პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობასია პროგრამის მიზანთან, სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩისთან (განათლების მე-6 დონის აღმწერთან) და უზრუნველყოფს ცოდნას და გაცნობიერებას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის შესწავლით.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელი კვალიფიკაციის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - დიზაინის ბაკალავრი მიენიჭება პროგრამით გათვალისწინებული არანაკლებ 240 კრედიტის (მათ შორის, სავალდებულო 220 კრედიტისა და თავისუფალი კომპონენტების არჩეული 20 კრედიტის) ათვისების შემთხვევაში. სწავლის ძირითადი სფეროს კომპონენტის მოცულობაა 189 კრედიტი (მათ შორის, სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები, საწარმოო პრაქტიკა და საბაკალავრო პროექტი).

პროგრამა მისცემს სტუდენტებს პროფესიისთვის საჭირო კომპეტენციებს, რაც მომავალში წარმატებული კარიერის შექმნაში დაეხმარებათ. პროგრამაში სწავლის სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი) ჩამოყალიბებულია ნათლად და ლოგიკურად. სწავლის შედეგების ფორმირების დროს გათვალისწინებულია წინა აკრედიტაციის დროს ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები.

სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს. პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების ნათლად გაწერილი შეფასების მექანიზმი, რომელიც სტუდენტის ცოდნის ადექვატური შეფასების საშუალებას იძლევა. არსებული მექანიზმით ვლინდება სტუდენტის მიერ შეძენილი, მოდის დიზაინის სფეროსთვის აუცილებელი, ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები. გამოყენებული შეფასების სისტემა საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს კურსდამთავრებულებმა პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. აღნიშნული დადასტურდა კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროს.

პროგრამის შედეგების მიღწევის შეფასება გულისხმობს შეფასების როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებას. ამ პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტია სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა და მათთან მიღებული შედეგების სისტემატური დადარება, რის შესაძლებლობას იძლევა დოკუმენტი „არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“. აქვე აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი დასახვეწია, რადგან არ არის შევსებული რუბრიკები „შეფასების ინდიკატორები“ და „შეფასების ინსტრუმენტები“.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმ-

ვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის შესაბამისად, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების და სტუდენტების ჩართულობით პროგრამის მოდიფიცირებასთან დაკავშირებული საკითხები განხილულია და დამტკიცებულია დეპარტამენტის, ფაკულტეტის საბჭოს და აკადემიური საბჭოს მიერ, რაც დასტურდება შესაბამისი ოქმებით და დასახელებულ პირებთან ინტერვიუს შედეგებით.

უნივერსიტეტში აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა, აკადემიურ პერსონალთა, მოქმედ და პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვის სისტემა. შედეგების ანალიზი გამოყენებულია პროგრამის განვითარების პროცესში. ასევე, სტუდენტთა გამოკითხვა ემსახურება სწავლების ხარისხის შეფასებას დისტანციური რეჟიმით პროცესის განხორციელების დროს – COVID 19-ით განპირობებული პანდემიის პირობებში. სტუდენტებთან ინტერვიუმ დაადასტურა, რომ მიუხედავად პროცესის ეფექტურად მიმდინარეობისა, მაინც უპირატესობას ანიჭებენ სწავლების პროცესის აუდიტორიაში წარმართვას.

დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში გამოიხატება მათი რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებაში, რამაც მათი აზრით პროგრამა გახადა უფრო ეფექტური და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი ცოდნისა და უნარების შესაბამისი, რაც კონკურენტუნარიანი კადრების აღზრდის წინაპირობაა. პროგრამა მათ მიერ შეფასდა დადებითად.

სპეციალისტებზე მოთხოვნის ზრდის შემთხვევაში (რისი ტენდენციაც უკვე შეინიშნება), პროგრამა უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას. მათ რეალური შესაძლებლობა ექნებათ, რომ შეიძინონ წარმატებული პრაქტიკული საქმიანობისთვის აუცილებელი კომპეტენციები, მათ შორის ცოდნა და უნარები. წარმოდგენილი პროგრამა არის დარგისთვის აუცილებელ კომპეტენციებზე ორიენტირებული პროგრამა, რომელშიც გონივრულად არის გათვალისწინებული ძირითადი მიმართულების მოთხოვნები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“;
- პროგრამის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან;
- დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- სტუ–ს „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“;
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
- პროგრამის სწავლების შედეგების შეფასების მექანიზმის რუქა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- ფაკულტეტის საბჭოსა და „ინტერიერისა და დიზაინის“ დეპარტამენტის ოქმები;
- პროგრამის შეფასების სარეკომენდაციო წერილები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლების, კურსდამთავრეულებისა და სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;
- შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტები.

**რეკომენდაციები:**

- პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის უნდა მიეთითოს შეფასების ინდიკატორები და შეფასების ინსტრუმენტები, რაც გათვალისწინებულია დოკუმენტში „არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>- |
| **შეფასება**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | √ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| |
|---|
| **2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები** |
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე (შემდგომში - პროგრამა) ჩარიცხვა რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის და პროგრამით განსაზღვრული წესის შესაბამისად.<br>პროგრამაზე ჩაირიცხებიან აბიტურიენტები, რომლებიც ფლობენ მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ სახელმწიფო სერტიფიკატს (ან მასთან გათანაბრებული პირი) და წარმატებით დაძლევენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს. აბიტურიენტებმა, გარდა ერთიანი ეროვნული გამოცდებისა, უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის (შემდგომში - ფაკულტეტი) სპეციალური კომისიის წინაშე უნდა გაიარონ გასაუბრება, სადაც წარადგენენ საკუთარი ხელით შესრულებულ პორტფოლიოს.<br>გასაუბრების ჩატარების თარიღი გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ხატვაში გასაუბრების განრიგი, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი |

| |
|---|
| აქტით. გასაუბრების პირობები (როგორც რეკომენდებული იყო წინა აკრედიტაციის დროს) მკაფიოდ არის გაწერილი დებულებით „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები" სწავლის გაგრძელების მსურველთათვის ხატვაში გასაუბრების ჩატარების დებულება“, რომელიც ხელმისაწვ-დომია აბიტურიენტებისათვის. ასევე, მომზადებულია შესაბამისი ვიდეო–რგოლი.<br>სტუდენტენტთა მისაღები კონტიგენტი განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოსა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის და განთავსებულია როგორც სსიპ - გამოცდების ეროვნული ცენტრის, ასევე უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ასევე, ფაკულტეტი ინფორმაციის გასავრცელებლად იყენებს სოციალურ ქსელს.<br>პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება ენიჭებათ, აგრეთვე, სტუდენტებს, რომლებიც ისარ-გებლებენ შიდა ან გარე მობილობით, შესაბამისი ვადებისა და პროცედურების დაცვით.<br>აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირთა პროგრამაში ჩართვას. ყოველივე დადასტურდა სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“;<br>• ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ თვითშეფასების ანგარიში;<br>• ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან;<br>• საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://gtu.ge/Arch/News/Xatvis%20debuleba.pdf;<br>• არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ვებგვერდი;<br>• „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანება. |
| **რეკომენდაციები:**<br>- |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>- |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>- |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>- |
| **შეფასება**<br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ (შემდგომში - პროგრამა) შედგენილია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) შემუშავებული და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის შესაბამისად. ასევე, პროგრამა მოდიფიცირებულია საქართველოში მოქმედი მსგავსი საბაკალავრო პროგრამების (აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აპ. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია) და წამყვანი ევროპული უნივერსიტეტების (ლისაბონის, ვიტაუტას მაგნუს, საქსიონის გამოყენებითი ხელოვნების და ნეიდერჰაინის გამოყენებითი ხელოვნების უნივერსიტეტები) გამოცდილების გათვალისწინებით. აღნიშნული დადასტურდა პროგრამის, თვითშეფასების ჯგუფისა და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს საფუძველზე.<br>პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის შედგენილი. მისი სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.<br>პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება განათლების მე-6 დონეს (ბაკალავრიატის საფეხურს). მისი შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს და შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციისთვის საჭირო შედეგების მიღწევას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის აღმწერის დონით.<br>პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით. 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. პროგრამის კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი (8 სემესტრი) და მოიცავს 240 კრედიტს. სასწავლო წელი მოიცავს 2 სემესტრს, თითოეულის მოცულობა არის - 30 ECTS კრედიტი. ერთი სემესტრი მოიცავს 15 სასწავლო კვირას, 1 – შუასემესტრული გამოცდის, 1 – დოკუმენტური მასალის ჩაბარების და 3 – სასესიო კვირა (დასკვნითი და დამატებითი 3 გამოცდების).<br>პროგრამა მოიცავს სწავლის ძირითად სფეროს და თავისუფალი კომპონენტების სასწავლო კურსებს. პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია წინა აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაცია: „რეკომენდებულია პროგრამის აღწერით ნაწილსა და სტრუქტურაში მკაფიოდ გამოიყოს ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები, რაც უკეთ უზრუნველყოფს სტრუქტურაში დარგის სპეციფიკის ზედმიწევნით ზუსტად ასახვას“. პროგრამის ანალიზით დადასტურდა, რომ პროგრამის აღწერით ნაწილსა და სტრუქტურაში ნათლად არის გამოკვეთილი სწავლის ძირითადი სფეროს სასწავლო კურსები. თუმცა აქვეა სასწავლო კურსები: რამდენიმე სასწავლო კურსი (მაგ., „წრფივი ალგებრისა და კალკულურის ელემენტები, „უცხოური ენა“) და საგანთა ერთობლიობა (მაგ., „არჩევითი ჰუმანიტარული საგნები“ „თავისუფალი კომპონენტი“), რომლებიც სწავლის ძირითად სფეროს არ მიეკუთვნება. |

სტუდენტმა პროგრამის ფარგლებში დიზაინის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის უნდა დააგროვოს არანაკლებ 240 კრედიტი. პროგრამაში საწარმოო პრაქტიკა, გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის პარალელურად, მეშვიდე სემესტრში – 200 საათი (აქედან 75 საკონტაქტო). სწავლების დამასრულებელ ეტაპზე, მერვე სემესტრში პროგრამა ითალისწინებს საბაკალავრო პროექტზე მუშაობას (10 კრედიტი). მეოთხე სასწავლო წელს გათვალისწინებულია არჩევითი თავისუფალი კომპონენტების 12 საგნიდან ოთხის (20 კრედიტი) არჩევა, რომელიც წარმოდგენილია 3-3, 5 კრედიტიანი სასწავლო კურსისგან შედგენილი 4 ჯგუფის სახით. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსების აღნიშნული ჯგუფები არ წარმოადგენს კონცენტრაციებს, მაგრამ მაინც გარკვეული იდეით გაერთანებულ ჯგუფს წარმოადგენს. სტუდენტებისათვის არჩევანის თავისუფლების მიცემის მიზნით სასურველი იქნებოდა არჩევითი სასწავლო კურსების ჯგუფებიდან თითო სასწავლო კურსის არჩევის ნაცვლად, მათ ჰქონდეთ სრული თავისუფლება, რაც გამოხატება აღნიშნული არჩევითი სასწავლო კურსების ერთ ჯგუფად მიწოდებაში.

პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტების თანმიმდევრობა ლოგიკურად არის დალაგებული, დაცულია მარტივიდან რთულზე თანდათანობით გადასვლის პრინციპი, სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობა ძირითადად ადექვატურია. თუმცა, ზოგიერთ სასწავლო კურსში უფრო ლოგიკურადაა გასააზრებელი კონკრეტული წინაპირობები, კერძოდ: „კოსტუმის ისტორია“ და „ქართული ეროვნული სამოსის და ორნამენტის ისტორია“ ითვალისწინებს წინაპირობებს, კერძოდ: „შესავალი ხელოვნების ისტორიაში“ და „კოსტუმის ისტორია“, რომელთა წინასწარ არათვისება არ შეუშლის ხელს აღნიშნული სასწავლო კურსების შესწავლას და სწავლის შედეგების მიღწევას, ამიტომ არ უნდა განიხილებოდას დამაბრკოლებელ ფაქტორად მომდევნო კურსების ათვისებისათვის და შესაძლებელია იქნას ამოღებული.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“;
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- მიზანშეწონილია გადაიხედოს პროგრამის კურიკულუმში გამოყენებული ტერმინების სისწორე, მაგ., ტერმინი „ძირითადი სპეციალობა“ შეიცალოს ტერმინით „სწავლის ძირითადი სფერო“;
- სასწავლო კურსის „კოსტუმის ისტორია“ წინაპირობად სასწავლო კურსი „შესავალი ხელოვნების ისტორიაში“ შესაძლებელია იქნას ამოღებული;
- სასწავლო კურსის „ქართული ეროვნული სამოსის და ორნამენტის ისტორია“ წინაპირობად სასწავლო კურსი „კოსტუმის ისტორია“ შესაძლებელია იქნას ამოღებული;
- მიზანშეწონილია პროგრამის სასწავლო გეგმის „ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები“–დან კურსები, „წრფივი ალგებრისა და კალკულურის ელემენტები, „უცხოური ენა“, „არჩევითი ჰუმანიტარული საგნები“, „თავისუფალი კომპონენტი“ – გატანილი იქნას სწავლის ძირითადი სფეროს საგანთა ჯგუფიდან;
- სასურველია არჩევითი საგნების ოთხი ჯგუფის ნაცვლად, არჩევანის თავისუფლების უზრუნველსაყოფად, პროგრამაში არჩევითი საგნები შეტანილი იქნას ერთ ჯგუფად და სტუდენტებს სურვილის შესაბამისად მიეცეთ 20 კრედიტის არჩევის საშუალება.

| |
|---|
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>- |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>- |
| **შეფასება**<br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.3. სასწავლო კურსი** |
| ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/ მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ (შემდგომში - პროგრამა) თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ძირითადად შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, რაც წარმოდგენილია პროგრამის სწავ-ლის შედეგების და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის რუქის სახით.<br>სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია დარგის აქტუალურ მიღწევებზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებულია ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ადექვატურია სასწავლო კურსის მიზანთან და სწავლის შედეგებთან და მათი უმეტესობა წარმოადგენს 2010-2020 წლებში გამოცემულ ქართულენოვან სახელმძღვანელოებს, დამხმარე სახელმძღვანელოებს და სალექციო კურსებს. მაგრამ არის სასწავლო კურსები, სადაც მიზნიდან და შედეგებიდან გამომდინარე სასურველი იქნება რიგი საკითხების განხილვა და ლიტერატურასთან დაკავშირებული პრობლემების გათვალისწინება. კერძოდ: სასურველია სასწავლო კურსს „წრფივი ალგებრისა და კალკულუსის ელემენტები“ დაემატოს ალბათობის თეორისაა და მათემატიკური სტატისტიკის საკითხები, რომლებიც სამრეწველო დარგის პრაქტიკულ საქმიანობაში, კერძოდ ანთროპომეტრიული დიაგნოსტიკის და ასორტიმენტული შკალების შემუშავების საკითხების შესწავლის დროს ხშირადშემხვედრი პრობლემების გაანალიზების და საწარმოო პროცესის დაგეგმვის საფუძველია; სასწავლო კურსში „ტექნიკური ნახაზი მოდის დიზაინში“– განხილულია მხოლოდ ტანსაცმლის დეტალების ტექნიკური ნახაზების აგება, არ არის განხილული ფეხსაცმლის დეტალები, რომელიც ტანსაცმლისაგან განსხვავებული რიგი თავისებურებებით ხასიათდება; ასევე სასწავლო კურსში „ხარისხის მართვა“ სასურველია განიხილებოდეს ფეხსაცმლის ხარისხის შეფასების თავისებურებები; სასურველია მასალათმცოდნეობის, კონსტრუირების და ტექნოლოგიის მიმართულების სასწავლო კურსებში გათვალისწინებული იქნას სპეციეკიპირებასთან დაკავშირებული საკითხები.<br>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული იყო რეკომენდაცია: „მიზანშეწონილია, პროგრამაში ისეთი საგნების სწავლება, რომლებიც სტუდენტს ფართოდ ასწავლის დარგის ისტორიას, ტენდენციებს. აღნიშნული საკითხები |

მწირედ არის წარმოდგენილი პროგრამაში“. აღნიშნული რეკომენდაციის შესაბამისად სასწავლო კურსების „ტექსტილის ნაწარმის საწყისი ტექნოლოგიური დამუშავება“, „გამოყენებითი ანთროპოლოგია და ბიომექანიკის საფუძვლები“, „ტყავის ნაწარმის კონსტრუირების საფუძვლები - ანთროპომეტრია“ და „დარგის საწარმოო ტექნიკა“ შინაარსში გათვალისწინებულია დარგის ისტორიისა და ტენდენციების საკითხები.

პროგრამაში გათვალისწინებულია სასწავლო კურსები: „მოდა და ბიზნესი“ და „მარკეტინგის საფუძვლები“, რომლის შემოტანა (შესაბამისი კრედიტებით, სწავლის შედეგებით, სწავლება-სწავლის მეთოდებით, შეფასების რუბრიკითა და შინაარსით, რომელიც გაწერილია კურსის სილაბუსებში) პროგრამაში განპირობებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული შემდეგი რეკომენდაციით: „საგნები „დარგის მენეჯმენტი“ და „ნაწარმის მარკეტინგი და რეკლამირება“ ზოგადი და სტანდარტულია. აქცენტი უნდა გაკეთდეს დარგის სპეციფიკაზე, გამდიდრდეს პრაქტიკული საკითხებით, მაგალითებით და პრაქტიკული სიტუაციების ანალიზით. ორივე საგანი მთლიანად შესაცვლელია როგორ სტრუქტურულად, ისე შინაარსობრივად“.

სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზის საფუძველზე, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნიდან გამომდინარე, რეკომენდებულია გადაიხედოს ძირითადი ლიტერატურის ნუსხა და რიგი სასწავლო კურსების ლიტერატურის ჩამონათვალს დაემატოს კურსის განხორციელებისათვის აუცილებელი სასწავლო რესურსი. მაგ:

– „გამოყენებითი ანთროპოლოგია და ბიომექანიკის საფუძვლები“ ძირითად ლიტერატურაში არ არის გათვალისწინებული ტანაგებულების ანთროპომეტრიასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო. ჩამონათვალში მითითებული „გამოყენებითი ანთროპოლოგიის“ სახელმძღვანელოში კი კურსის შინაარსში ჩამოთვლილი საკითხები არ განიხილება;
– სილაბუსში „ტყავის ნაწარმის კონსტრუირების საფუძვლები - ანთროპომეტრია“ – გათვალისწინებული არ არის სახელმძღვანელო, რომელიც განხილულია ტყავის ნაკეთობათა კონსტრუირების საფუძვლების შესაბამისი საკითხები, მითითებული სახელმძღვანელო მხოლოდ ტერფის და ზოგადად კიდურების ანთროპომეტრიის საკითხებს მოიცავს.

აღნიშნული სახელმძღვანელოები უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბაზაში იძებნება, შესაბამისად არ არის პრობლემა მისი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. სასწავლო კურსების ათვისებისათვის აღნიშნული ლიტერატურა აუცილებელია და უნდა დაემატოს ძირითად ლიტერატურას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- სტუ–ს ბიბლიოთეკის კატალოგი;
- ინტერვიუები სასწავლო კურსების განმახორციელებელ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

- სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსის სილაბუსები და რიგი სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალს დაემატოს კურსის განხორციელებისათვის აუცილებელი ლიტერატურა. მაგ:
– „გამოყენებითი ანთროპოლოგია და ბიომექანიკის საფუძვლები“ ძირითად ლიტერატურაში გასათვალისწინებელია ტანაგებულების ანთროპომეტრიასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო;
– სილაბუსში „ტყავის ნაწარმის კონსტრუირების საფუძვლები - ანთროპომეტრია“ – უნდა დაემატოს ტყავის ნაკეთობათა კონსტრუირების საფუძვლების შესაბამისი ლიტერატურა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

სასურველია:

- სასწავლო კურსს „წრფივი ალგებრისა და კალკულუსის ელემენტები“ დაემატოს ალ-ბათობის თეორისაა და მათემატიკური სტატისტიკის საკითხები;
- სასწავლო კურსის „ტექნიკური ნახაზი მოდის დიზაინში“ შინაარსს დაემატოს ფეხსაცმ-ლის დეტალების ტექნიკური ნახაზების აგების საკითხები;
- სასწავლო კურსის „ხარისხის მართვა“ შინაარსს დაემატოს ფეხსაცმლის ხარისხის შეფასების საკითხები;
- მასალათმცოდნეობის, კონსტრუირების და ტექნოლოგიის მიმართულების სასწავლო კურსებში გათვალისწინებული იქნას სპეციეკიპირებასთან დაკავშირებული საკითხები.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ (შემდგომში - პროგრამა) ფარგლებში გათვალისწინებულია საწარმოო პრაქტიკა (8 კრედიტი), სადაც პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტს აკადემიურ პერსონალთან ერთად ხელმძღვანელობს დარგის კვალიფიციური პირი - მენტორი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას პრაქტიკის მიზნისა და მიღებული შედეგების გათვალისწინებით. შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია ლოგიკურად.

პრაქტიკის განხორციელების მიზნით უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ერთი მემორანდუმი და 2 ხელშეკრულება მაპროფილებელ ორგანიზაციებთან, თანამშრომლობს დამსაქმებელთა ჯგუფთან, რომლებიც დარგის წარმატებული წარმომადგენლები არიან გამოთქვამენ მზადყოფანას, საწარმოო სიმძლავრეების გაზრდის შემდეგ (რომელსაც გეგმავენ უახლოეს მომავალში), თავისი საწარმოო სივრცე გამოყენებული იქნას პრაქტიკის ბაზად, რაშიც ისინი საკუთარ სარგებლად განიხილავენ ახალგაზრდა და მოტივირებული კადრებით შევსების პერსპექტივას, რაც პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების გარანტია. სასურველია პარტნიორ საწარმოთა რიცხვის და პროფილის გაზრდა, სტუდენტთათვის საწარმოო პრაქტიკის არეალის გაფართოებისათვის. მითუმეტეს, რომ მონათესავე პროფილის პროგრამის კურსდამთავრებულთა შორის არის წარმატებული პრაქტიკის და საკუთარი საწარმოების მფლობელი პიროვნებები, რომლებმაც ინტერვიუს პროცესში პროგრამის ირგვლივ შექმნეს დადებითი წარმოდგენა და გამოთქვეს მზაობა მათი საწარმო განიხილებოდეს პრაქტიკის ბაზად. სასურველია პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული იყოს სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა,

საწარმოს მასშტაბების გათვალისწინებით.

პროგრამა ითვალისწინებს ისეთ შემოქმედებით კომპონენტს, როგორიცაა „საბაკალავრო ნაშრომი“ (10 კრედიტი), თავისი შინაარსით იგი წარმოადგენს პროგრამის დამასრულებელ ნაშრომს, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის პრაქტიკული, კვლევითი და შემოქმედებითი უნარების განვითარებას და მათ დემონსტრირებას. პროგრამის სწავლის ძირითადი სფეროს კომპონენტებში, ასევე, გათვალისწინებულია სასწავლო კურსები „ტყავის ნაწარმის (ფეხსაცმლის) მხატვრულ–ინჟინრული დაგეგმარების ინტეგრაცია“ და „ტექსტილის ნაწარმის მხატვრულ–ინჟინრული დაგეგმარების ინტეგრაცია“ (მეშვიდე სემესტრი, სულ 8 კრედიტი), რაც ასევე ხელს უწყობს მიღებული ცოდნის გამოყენების, შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარ–ჩვევების ჩამოყალიბებას სტუდენტებში. ეს მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა – შემოწმდეს პროგრამაზე სწავლისას მიღებული უნარ-ჩვევები და მათი პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობები.

პროგრამაში სხვადასხვა სასწავლო კურსების ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა ტიპის პრაქტიკული უნარების განვითარების ხელშემწყობი აქტივობები, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს შეიმუშაოს საკუთარი პორტფოლიო, რომელიც აუცილებელი კომპონენტია სპეციალისტის ცოდნის შეფასებისათვის. ბუნებრივია, პრაქტიკული ხასიათის აქტივობები ხელს უწყობს სტუდენტების კვლევითი და ანალიტიკური კომპეტენციების, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. თუმცა სილაბუსებში არ კონკრეტდება, რომ პორტფოლიო არის კონკრეტული კურსის საბოლოო პროდუქტი, მაგრამ მოდის ინდუსტრიის მიმართულებით ლაბორატორიული ბაზების გაცნობის დროს ნანახი იქნა სტუდენტთა ნამუშევრების კატალოგი საინტერესო მხატვრული ნამუშევრებით.

პროგრამას ამ ეტაპზე ყავს მხოლოდ ერთი სასწავლო წლის სტუდენტები, რომლებიც, მსოფლიო პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე სრულფასოვნად ვერ სარგებ-ლობენ საუნივერსიტეტო სერვისებით, მაგრამ „სამოსის დიზაინი“–ს პროგრამის კურსდამთავრებულებს, რომლებიც ჩართული იყვნენ ინტერვიუს პროცესში, აღნიშნული სერვისების შესახებ აქვთ ინფორმაცია. სასურველია უნივერსიტეტმა და პროგრამის განმახორციელებლმა ჯგუფმა აქტიურად იმუშაოს სტუდენტთა ინფორმირებულობის კუთხით, რათა დროულად და სრულყოფილად მიეწოდოთ ინფორმაცია ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიებების შესახებ. სასურველია, ასევე, ქვეყნის მასშტაბით სხვა უნივერსიტეტების მონათესავე დარგის პროგრამების სტუდენტებთან ერთობლივ ღონისძიებებში, კონკურსებში და გამოფენებში მონაწილეობა, გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობითი საქმიანობის სფეროს გაფართოების მიზნით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ინტერვიუ სასწავლო კურსების განმახორციელებელ პერსონალთან;
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან;
- შესაბამისი ხელშეკრულებები და მემორანდუმები;
- ინტერვიუ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან.

**რეკომენდაციები:**

–

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

– სასურველია უნივერსიტეტმა და პროგრამის განმახორციელებლმა ჯგუფმა აქტიურად იმუშაოს სტუდენტთა ინფორმირებულობის კუთხით, რათა დროულად და სრულყოფილად მიეწოდოთ ინფორმაცია ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიებების შესახებ;

| |
|---|
| – სასურველია ქვეყნის მასშტაბით სხვა უნივერსიტეტების მონათესავე დარგის პროგრამების სტუდენტებთან ერთობლივ ღონისძიებებში, კონკურსებში და გამოფენებში მონაწილეობა, გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობითი საქმიანობის სფეროს გაფართოების მიზნით;<br>– სასურველია პარტნიორ საწარმოთა რაოდენობის გაზრდა, სტუდენტთათვის საწარმოო პრაქტიკის არეალის გაფართოებისათვის;<br>– სასურველია პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული იყოს სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა, საწარმოს მასშტაბების გათვალისწინებით. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>– სტუდენტური ნამუშევრების კატალოგი და შესრულებული მზა ნამუშევრების გამოფენა. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>- |
| **შეფასება**<br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები** |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ (შემდგომში - პროგრამა) სასწავლო კურსები მოიცავს სწავლება-სწავლის მეთოდებს: დისკუსია/დებატები; თანამშრომლობითი სწავლება; ჯგუფური მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); შემთხვევების შესწავლა; გონებრივი იერიში; დემონსტრირება; ინდუქცია; დედუქცია; ანალიზი; სინთეზი; ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი სწავლება; წერითი მუშაობა; ახსნა-განმარტება; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია, რომელთა ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. გამოყენებულია, ასევე, საშინაო დავალებები, პრეზენტაციაზე ნამუშევრების წარდგენა. უნივერსიტეტში, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას და საწარმოების ბაზაზე განხორციელებული პრაქტიკის დროს აქტიურად გამოიყენება პრაქტიკული სამუშაოს მეთოდი. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღნიშნული მეთოდები გაპრობირებულია ამ მიმართულების პროგრამების თავისებურებებით და შესაბამისობაშია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის დებულებებთან, რომელიც იძებნება როგორც თანდართულ დოკუმენტაციაში, ისე უნივერსიტეტის ვებგვერდზე.<br>თითოეულ სასწავლო კურსში სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. მაგრამ, სასურველია, რომ სტუდენტები გარკვეული იყვნენ სწავლება–სწავლის მეთოდების არსში და კონკრეტული სასწავლო კურსისათვის გამოყენებული მეთოდების შესახებ განმარტება მიიღონ კურსის საწყის ეტაპზე. |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები;
- ინტერვიუ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან.

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

– სასურველია, რომ სტუდენტები გარკვეული იყვნენ სწავლება–სწავლის მეთოდების არსში და კონკრეტული სასწავლო კურსისათვის გამოყენებული მეთოდების შესახებ ინფორმაცია მიიღონ კურსის საწყის ეტაპზე.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

შეფასების სისტემა გაწერილია აკრედიტაციაზე წარდგენილ პროგრამაში, შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომი სტუდენტებისათვის. ცალკეულ შემთხვევებში სტუდენტის შეფასება ხდება ერთზე მეტი შემფასებლის მიერ. სტუდენტებს საშუალება აქვთ ინფორმაცია შეფასების შესახებ მიიღონ უშუალოდ პროგრამის ხელმძღვანელისაგან და სასწავლო კურსების განმახორციელებლებისაგან, ასევე, უნივერსიტეტის ვებგვერდზე არსებულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემის საშუალებით, რომელიც გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს სასწავლო კურსების სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტის მიერ პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას იძლევა, თუმცა რიგ სასწავლო კურსში დასაკორექტირებელია მითითებული შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც პრაქტიკული/ლაბორატორიული დავალებების და დისკუსიაში მონაწილეობის შემთხვევაში ერთნაირადაა ფორმულირებული, რაც გამორიცხავს პრაქტიკული/ლაბორატორიული დავალების შესრულების და პრაქტიკული უნარების დადასტურებას და შეფასებას რელევანტური შეფასების კრიტერიუმების მეშვეობით (მაგ., ლაბორატორიული მუშაობა - კრიტერიუმი „საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს განვლილ მასალას, ღრმად და

საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა, შეცდომები არ არის. მსჯელობა მაღალ დონეზეა წარმოდგენილი" და ა.შ.).

თითოეულ სასწავლო კურსში სტუდენტის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული აქტივობის, შუალედური და დასკვნითი შეფასების წილისგან შედგება და მოიცავს სტუდენტის სემესტრის განმავლობაში მიღწეული სწავლის შედეგების შეფასებას. მიმდინარე შეფასება ითვალისწინებს სტუდენტის ყოველკვირეულ შეფასებას პრაქტიკულ მეცადინეობებზე, შეფასების მეთოდები და რუბრიკები დეტალურად არის აღწერილი სილაბუსებში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალური ფორმით. გამოცდის ფორმას (წერა, ტესტირება საგამოცდო ცენტრში) წყვეტს სილაბუსის ავტორი სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში. შეფასების სისტემა უშვებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას და ორი სახის უარყოფით შეფასებას.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება აქტივობის, შუალედური გამოცდის და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან. ამ საკითხთან მიმართებაში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: „სტუდენტთა შეფასების მინიმალური კომპეტენციის რაოდენობრივი მაჩვენებელი შესაბამისობაში მოვიდეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსთან“. სასწავლო კურსების შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედური (მიმდინარე შეფასება და შუასემესტრული გამოცდა) შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 30 ქულას, ხოლო დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი შეადგენს 11 ქულას, რაც ჯამში შეადგენს 41 ქულას. უზრუნველყოფილია შეფასების შედეგების დროული გაცნობა და სტუდენტი იღებს უკუკავშირს მიღებული შედეგის შესაბამისად.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ ასევე გაცემული იყო რეკომენდაცია „საბაკალავრო ნაშრომთან“ მიმართებაში. კერძოდ: „რეკომენდებულია საბაკალავრო პროექტის სილაბუსში უფრო მკაფიოდ გაიწეროს საკვალიფიკაციო მოთხოვნები (მაგალითად, შექმნილი ნაწარმის/კოლექციის ერთეულთა მინიმალური რაოდენობა, მისი სინთეზური ხასიათი, შეფასების კრიტერიუმები) და საკუთრივ დაცვის ფორმატი“. ამჟამად „საბაკალავრო პროექტის“ სილაბუსში, შეფასების რუბრიკაში დეტალურადაა გაწერილი შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები: სემესტრული შეფასებები - 10 პრაქტიკული საშინაო დავალება (სულ 10 ქულა) და 2 კლაუზურის შესრულება (სულ 20 ქულა); შუასემესტრული გამოცდა - კონკრეტულ თემაზე მოცემული ეტაპისთვის საბაკალავრო პროექტის შესრულებული ნაწილის (მოდელის კომპოზიციური გადაწყვეტა, ტექნიკური ესკიზი, კონსტრუქციული ნახაზი (სულ 30 ქულა); დასკვნითი გამოცდა – რომელიც გულისხმობს პორთფოლიოსა და მასალაში შესრულებული კოლექციის (3 კოსტიუმი) დასრულებული სახით წარდგენას და დაცვას (სულ 40 ქულა). საბაკალავრო ნაშრომს აფასებს არანაკლებ 3 წევრისაგან შემდგარი კომისია აკადემიური/მოწვეული პერსონალი. დაცვას ესწრება ასევე მოწვეული ექსპერტები - პრაქტიკოსი დიზაინერი და ბიზნეს–სექტორის წარმომადგენელი. ამდენად, ექსპერტთა რეკომენდაცია გათვალიწინებულია.

უნივერსიტეტში ფუქციონირებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა „ელექტრონული უწყისი“, სადაც სტუდენტი ინდივიდუალურად ეცნობა საკუთარ შედეგებს. სისტემა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს: აკონტროლოს სემესტრის

| |
|---|
| განმავლობაში სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებულ აქტივობებში მიღებული მიმდინარე შეფასებები; თანმიმდევრულად და დროულად შეასრულოს გრაფიკით დადგენილი ყველა სამუშაო. ასევე მისი საშუალებით ხდება პროფესორთა საქმიანობის მონიტორინგი და სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება.<br>პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პერიოდულად მონაწილეობს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების მიზნით დაგეგმილ ტრენინგებში და იღებს შესაბამის მხარდაჭერას.<br>უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში მოცემული სასწავლო პროცესის ორგანიზების, სტუდენტთა მიღწევების შეფასების, სტუდენტებთან სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებებისა და სტუდენტის მიერ კრედიტების დაგროვების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა "მოდის დიზაინის ტექნოლოგიები";<br>• სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);<br>• საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია https://gtu.ge/quality/Files/Pdf/sasc%20procesis%20instruqc.pdf;<br>• სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელსისტემა https://leqtori.gtu.ge/;<br>• აკადემიური პერსონალის ბიოგრაფიური მონაცემები;<br>• სტუდენტების გამოკითხვის შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br>- |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>- მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სილაბუსებში დაკორექტირეს შეფასების კრიტერიუმების ფორმულირება, ასევე მიმდინარე აქტივობის საერთო შეფასებაში პრაქტიკული/ლაბორატორიული დავალებების შესრულებასა და დისკუსიაში მონაწილეობის შეფასებას შორის ქულათა თანაფარდობა. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>- |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>- |
| **შეფასება**<br>√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლო-გია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | √ | | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>მოდის დიზაინის ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) განხორციელების პროცესში, სტუდენტებს აქვთ საშუალება გაეცნონ ინფორმაციას სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების განხორციელების გეგმებსა და მეთოდებზე. სტუდენტები სასწავლო კურსის სილაბუსს ეცნობიან სასწავლო სემესტრის დაწყებისთანავე, სასწავლო კურსის განმახორციელებელთან კომუნიკაციით, ასევე, ეგზავნებათ პერსონალურად გახსნილ კორპორატიულ ელ. ფოსტაზე ელექტრონული სახით, განთავსდება უნივერსიტეტის ვებვერდზე (Vici.gtu.ge). ინტერვიურებისას სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ საშუალება დამატებითი ინდივიდუალური კონსულტაციისათვის მიმართონ აკადემიურ პერსონალს, პროგრამის ხელმძღვანელს, დეკანატს - საჭიროებისამებრ. სტუდენტები აღნიშნავენ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ყოველმხრივ მზაობას მათ დასახმარებლად, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მისაღწევად. აკრედიტაციაზე წარდგენილი პროგრამის მოდიფიცირების და გაუმჯობესების პროცესში სტუდენტებმა თავიანთი ჩართულობა სხვადასხვა კითხვარების შევსებით დაადასტურეს. ასევე, აღნიშნეს, რომ მათი სურვილის გათვალისწინებით მოხდა სწავლების ჰიბრიდული მეთოდის შემუშავება და ხატვის ლექციებზე უნივერსიტეტში დასწრება. სტუდენტები აქტიურად იყენებენ უნივერსიტეტის ელექტრონულ პორტალებს, ბიბლიოთეკის რესურსებს, აქვთ ინფორმაცია სტუდენტთა კონფერენციების ჩატარებაზე, იციან შეფასების გასაჩივრების შესაძლებლობის თაობაზე, მაგრამ არ უსარგებლიათ ამ სერვისებით. ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ მათთვის არ არის ცნობილი სტუდენტური პროექტების დაფინანსების პროგრამის არსებობა, თუმცა, სმენიათ უნივერსიტეტის მიერ დასაქმების ხელშეწყობის, სტუდენტებისათვის რეკომენდაციების გაცემის შესახებ. წინა აკრედიტაციის დროს გაცემული რეკომენდაცია, რომელიც სტუდენტთა შორის კარიერული განვითარების სამსახურის/სერვისების ცნობადობის ამაღლებასა და დასაქმების ხელშეწყობას გულისხმობდა, გარკვეულწილად გათვალიწინებულ იქნა - დაიგეგმა ფაკულტეტის ვებგვერდზე ღილაკი „ვაკანსიის“ გაჩენა, რომელიც მიაწვდიდა სტუდენტებს ინფორმაციას გამოცხადებული ვაკანსიების შესახებ, რაც ჯერ არ განხორციელებულა. ინტერვიურებისას, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლების აღნიშვნით, ზემოთქმულთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა და მალე ასეთი ოპცია საიტზე ხელმისაწვდომი იქნება. იგეგმება ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო მობილობის გაძლიერება სტუდენტთა ხელშეწყობისათვის.<br><br>კურსდამთავრებულთა (აკრედიტაციაზე წარდგენილი პროგრამის წინამორბედი „სამოსის დიზაინის“ პროგრამის კურსდამთავრებულები) ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ ისინი იცნობენ მოდიფიცირებულ პროგრამას და ერთი მათგანი ჩართული იყო კიდეც ამ პროგრამის მოდიფიცირების პროცესში. მან აღინიშნა, რომ პროგრამაზე სწავლისას, მათთვის არასაკმარისი იყო პრაქტიკის კომპონენტი, რის გაძლიერებასაც ისურვებდნენ.<br><br>ვინაიდან, პროგრამას არ ჰყავს მესამე და მეოთხეკურსელები, გარკვეული |

| |
|---|
| საკითხების (საწარმოო პრაქტიკა და მისი ორგანიზაცია, საბაკალავრო ნაშრომი) შესახებ სტუდენტთა მხრიდან ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი მოკლებული იყო. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“;<br>• პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>• ინტერვიუ სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან/პროგრამის ხელმძღვანელთან/ ადმინისტრაციასთან/ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან/აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;<br>• Gtu.ge/arch;<br>• არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგ-რამების შეფასების საფაკულტეტო კომისიის სხდომის ოქმი N 3, 26.03.2021. |
| **რეკომენდაციები:**<br>- |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>– სასურველია, სტუდენტთა კარიერული განვითარების მიმართულებით ღონისძიებათა უზრუნველყოფა და სტუდენტური პროექტების დაფინანსების პროგრამების შესახებ ინფორმირებულობის მექანიზმის გაუმჯობესება. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>- |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>- |
| **შეფასება**<br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა** |
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>- |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>- |
| **რეკომენდაციები:**<br>- |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>- |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>- |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>- |

| |
|---|
| **შეფასება**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | √ | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
|---|
| ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;<br>➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;<br>➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ (შემდგომში - პროგრამა) ანხორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც დასტურდება მათ მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით: სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებში, ფორუმებსა და გამოფენებში მონაწილეობით.<br>პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სასწავლო |

პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი და საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვნად შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

აკადემიური პერსონალი შერჩეულია ღია კონკურსის წესით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა“ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტის) წესდების მოთხოვნების სრული დაცვით.

უნივერსიტეტს მკაფიოდ აქვს განსაზღვრული აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამუშაოს აღწერილობების, ფუნქციებისა და მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ასევე მისი უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება აღნიშნული ხელშეკრულებით, დამსაქმებლის წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსითა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმებით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ინსტრუქციებითა და დამსაქმებლის სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით. შრომით ხელშეკრულებაში მკაფიოდ არის გაწერილი დამსაქმებლის უფლებამოვალეობები, დასაქმებულის თანამდებობრივი სარგო, სამუშაო და რეჟიმი, შვებულებაზე გასვლის პირობები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის საფუძვლები. აკადემიურ პერსონალს გააფორმებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან აფილირების ხელშეკრულება, უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები, აფილირებასთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალისა და უნივერსიტეტის უფლებები და მოვალეობები რეგულირდება „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი“-ს მიხედვით. დადგენილი პროცედურები გამჭვირვალეა და ინფორმაცია მისი თითოეული ეტაპის შესახებ ღია, ხელმისაწვდომი და ადვილად აღქმადია დაინტერესებულ პირთათვის.

აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორების, ასოცირებული პროფესორების, ასისტენტ-პროფესორებისა და ასისტენტისგან. მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილ სტანდარტებთან.

პროგრამას ანხორციელებს 31 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რაც უზ-რუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას. აკადემიური პერსონალიდან 12 პროფესორია, 10 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი, 1 ასისტენტი. აღნიშნული აკადემიური პერსონალიდან 25-ივე აფილირებულია საქართ-ველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შესაბამისი ხელშეკრულებით. მოწვეულია სულ 6 პერსონალი, აქედან 3 ასოცირებული პროფესორის და 3 უფროსი მასწავლებელის პოზი-ციაზე. თანაფარდობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის არის 25/6 (პროცენ-ტულად: 81% - 19%), რაც განაპირობებს პროგრამის მდგრადობას. პროგრამას აქვს განმა-ხორციელებელი პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს შესაბამის დატვირთვას მათზე დაკისრებული მოვალეობიდან გამომდინარე. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, ასევე, ჩართულია საკონსულტაციო და პროგრამის განმავითარებელ პროცესებში. სასურველია პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა იზრუნოს ახალგაზრდა კადრების აღზრდასა და პროფესიონალად ჩამოყა-ლიბებაზე – პროგრამის შემდგომი სიცოცხლისუნარიანობის აუცილებლობიდან გამომდინარე.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში. იგი არის ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი. 1998 წლიდან მუშაობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, არის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი, არის 85-მდე სტატიის ავტორი,

| |
|---|
| გამოცემული აქვს სახელმძღვანელოები ტანსაცმლის კონსტრუირებაში, სამკერვალო ნაკეთობათა ტექნოლოგიასა და სამკერვალო საწარმოთა დაგეგმარებაში, არის 5 მონოგრაფიის ავტორი, 6 საგრანტო პროექტის ძირითადი შემსრულებელი და ხელმძღვანელი, მონაწილეობა აქვს მიღებული ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, არის 4 სადოქტორო ნაშრომისა და საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელი, პროფესიული მოდულური პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ ხელმძღვანელი, ამჟამად მოქმედი საბაკალავრო პროგრამის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ ხელმძღვანელი. იგი ხელმძღვანელობს პროგრამის შემუშავებას, მოდიფიცირებას და განვითარებას; უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან, ასევე პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობას პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან; მონაწილეობს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (35 სათანადოდ აღჭურვილი სასწავლო ლაბორატორიები, სალექციო აუდიტორიები, სახელმძღვანელოები და ა.შ.) და პროგრამის (ან მისი რომელიმე კომპონენტის) ურთიერთშესაბამისობის შეფასებაში; თანამშრომლობს დამსაქმებლებთან, დარგის საწარმოებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან დარგის მოთხოვნათა შესაბამისად პროგრამის განვითარების მიზნით.<br>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და მართვის სხვა სამსახურების ხელშეწყობით. პროგრამას უშუალოდ ემსახურება სათანადო კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომლებიც მუშაობენ უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებსა და სტრუქტურულ ერთეულებში. დამხმარე პერსონალი ჩართულია ლაბორატორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაში. ფაკულტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი (სულ 27) წარმოდგენილია დეკანით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელით, დეკანის მოადგილით, ფაკულტეტის მენეჯერით, ფაკულტეტის ბიბლიოთეკარითა და სპეციალისტებით.<br>ამდენად, პროგრამის ადამიანური რესურსი სავსებით შეესაბამება სტანდარტს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“;<br>• პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>• პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პერსონალური ინფორმაცია;<br>• ინტერვიუები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;<br>• ინტერვიუ სტუდენტებთან;<br>• ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან. |
| **რეკომენდაციები:**<br>– |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>– სასურველია პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა იზრუნოს ახალგაზრდა კადრების აღზრდასა და პროფესიონალად ჩამოყალიბებაზე – პროგრამის შემდგომი სიცოცხლისუნარიანობის აუცილებლობიდან გამომდინარე. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>– |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>– |

| |
|---|
| **შეფასება**<br>√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება |
|---|
| ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;<br>➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“, თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) რეგულარულად მიმდინარეობს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებისა და სასწავლო პროცესების მონიტორინგი. შესაბამისი შედეგების ანალიზის საფუძველზე, ხორციელდება სასწავლო პროცესის სრულყოფისა და პროგრამული განვითარების მნიშვნელოვანი ღონისძიებები.<br><br>უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის პრიორიტეტულ მიმართულებებში განსაზღვრულია ,,ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება“ და ,,ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა“, რომელთა წარმატებით განხორციელება მეტწილად დაფუძნებულია აკადემიური პერსონალის განვითარებაზე. შესაბამისად, უნივერსიტეტში დასაქმებული (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/ დამხმარე) პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, საგანმანათლებლო და კვლევითი/სამეცნიერო პროცესის ეფექტიანად წარმართვის ხელშეწყობისათვის შემუშავებულია პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია“. აღნიშნულ სტრატეგიაში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა უნივერსიტეტში ისეთი გარემოს უზრუნველყოფა, სადაც თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალის და მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა.<br><br>ფაკულტეტის პერსონალის განვითარების მასალების შესწავლისა და პერსონალთან ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების მიზნით, შექმნილია აუცილებელი პირობები, მატერიალურ ტექნიკური ბაზა, ფინანსური რესურსები და ა.შ. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით, უნივერსიტეტში შექმნილია პეოფესიული განვითარების ცენტრი, სადაც პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი გადის ტრენინგებს შემდეგი მიმართულებით: სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიები; სწავლის შედეგები და მათი შეფასება, კარიერის დაგეგმვა. ასევე დისტაციურ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით Erasmus+ პროგრამის PRINTeL პროექტის ფარგლებში, პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების დამატებითი შესაძლებლობების შეთავაზების მიზნით, უნივერსიტეტში Zoom პლატფორმის საშუალებით პერიოდულად |

ტარდება სწავლების ინოვაციურ მეთოდებთან დაკავშირებული სერტიფიცირებული ტრეინინგ-კურსები;

ვიზიტის ფარგლებში, ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი პერიოდულად ატარებენ საჯარო ლექციებს უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში (მილანის ტექნიკური უნივერსიტეტი, ლისაბონის უნივერსიტეტი და ა.შ.). აქტიურად მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში, მაგრამ სასურველია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საერთაშორისო აქტივობების და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის რაოდენობრივი მაჩვენებელების ამაღლება.

ზოგადად პროგრამის წარმატებული განვითარებისთვის სასურველია პერსონალის საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის გააქტიურება, გაცვლითი და ერთობლივი პროგრამების განხორციელება, ურთიერთთანამშრომლობის უფრო მეტად გაღრმავება დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პერსონალური ინფორმაცია;
- ინტერვიუები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- აკადემიურ, მოწვეულ პროფესორზე და მასწავლებელთა პერსონალზე სახელფასო დანამატის გაცემის წესი https://gtu.ge/Administration/Senate/pdf/profesorebis_premiebi_bonusebi_2017.pdf;
- „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“ სტუ-ის წარმომადგნელობითი საბჭოს (სენატის) 2018 წლის 14 თებერვლის № 01- 06-02/06 დადგენილება;
- საფაკულტეტო კომისია – 2019 წლის 19.11 №01-09-10/273 ბრძანება;
- „სტუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“ სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის № 531 დადგენილება;
- გამოკითხვის ფორმები და შედეგები.

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საერთაშორისო აქტივობების და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის რაოდენობრივი მაჩვენებელების ამაღლება;
- პროგრამის წარმატებული განვითარებისათვის სასურველია პერსონალის საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის გააქტიურება, გაცვლითი და ერთობლივი პროგრამების განხორციელება, ურთიერთთანამშრომლობის უფრო მეტად გაღრმავება-განვითარება მიმართულების, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილი პროფესიული განვითარების ცენტრი, სადაც პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი გადის ტრენინგებს შემდეგი მიმართულებით: კარიერის დაგეგმვა; სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიები; სწავლის შედეგები და მათი შეფასება;
- სტუ-ში და ფაკულტეტებზე ფუნქციონირებადი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოები, პროგრამებისათვის შესაბამისი სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფის მიზნით.

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>- |
| **შეფასება**<br>√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.3 მატერიალური რესურსი** |
| პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ (შემდგომში - პროგრამა) ხორციელდება არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის (შემდგომში - ფაკულტეტი) ბაზაზე, რომლის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა, მათ შორის სასწავლო/სამეცნიერო/ტექნოლოგიური ლაბორატორიები, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო ინვენტარი, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.<br>აღსანიშნავია, რომ პროგრამის განხორციელების პერიოდში პრაქტიკული და ტექნოლოგიური პროცესებისთვის განკუთვნილი ლაბორატორიები განახლებულია სფეროს სპეციფიკის შესაბამისი ტექნიკით, სპეც. მანქანა-დანადგარებითა და სპეც. ინვენტარით. იმ ლაბორატორილი მანქანა–მოწყობილობების გარდა, რომელიც სარგებლობაში ჰქონდა პროგრამის განმახორციელებელ ჯგუფს (რაც დასტურდება შესაბამისი ცნობით), ფაკულტეტზე შეძენილია უახლესი, სხვადასხვა კლასის და ფუნქციონალური დანიშნულების 23 საკერავი მანქანა, რითაც საწარმოო ლაბორატორიის ბაზა პრაქტიკულად გააახლდა, რაც დადასტურდა ექსპერტთ ჯგუფის წევრების ადგილზე ვიზიტით, ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერების დროს. შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ სტუდენტმა მიიღოს ხარისხიანი პრაქტიკული გამოცდილება და გამოიმუშაოს სპეციალისტისათვის აუცილებელი უნარ–ჩვევები, შესაბამისად მიღწეული იქნას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგი.<br>სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს ემსახურება ცენტრალური საუნივერსიტეტო და ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, როგორც მისი ფილიალი. ცენტრალური ბიბლიოთეკაში მათ შეუძლიათ ისარგებლონ სამკითხველო დარბაზის, შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობის, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის სივრცეებით. ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით უზრუნველყოფილი ოთხი დარბაზით:<br>• პრესისა და ინფორმაციის დარბაზი (მკითხველს შეუძლია გაეცნოს სხვადასხვა ქვეყნების სამეცნიერო, მხატვრულ და სხვა სახის ჟურნალ-გაზეთებს);<br>• წიგნებისა და ჟურნალების ელექტრონული ვერსიების დარბაზი (წიგნადი და საჟურნალო ფონდის ელექტრონული ვერსიების გაცნობა-გამოყენება; ინტერნეტ–საიტებით სასწავლო-სამეცნიერო და საინფორმაციო მასალების მოძიება; ბიბლიოთეკათაშორისო შეთანხმების საფუძველზე სხვადასხვა უმაღლესი სკოლების ელექტრონული კატალოგების გაცნობა; საერთაშორისო ონ–ლაინ მონაცემთა ბაზებით სარგებლობა; სასწავლო პროცესებთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფორმაციის მოპოვება);<br>• ტექნიკურ მეცნიერებათა დარბაზი;<br>• ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარბაზი; ბიბლიოთეკაში განთავსებულია პროგრამის |

სილაბუსებით განსაზღვრული ყველა ძირითადი ლიტერატურა და დამხმარე ლიტერატურის უმეტესობა, უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, როგორიცაა:

- Cambridge University Press (https://www.cambridge.org/core)
- Royal Society Publishing – journals (https://royalsociety.org/journals/)
- Bioone (http://www.bioone.org/)
- IMF eLibrary (http://www.elibrary.imf.org/?redirect=true)
- SAGE Journals (http://www.eifl.net/publisher/sage-publications-ltd)
- Edward Elgar Publishing (http://eifl.net/publisher/edward-elgar-publishing)
- Duke University Press (https://www.dukeupress.edu/)

ყოველივე ეს, საშუალებას აძლევს სტუდენტებს გაეცნონ მოდის დიზაინის ტექნოლოგიების სფეროს უახლეს სამეცნიერო მონაცემებს, სწავლის შედეგების მისაღწევად.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია პროგრამის სილაბუსით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობებისა და მოხმარების წესების შესახებ. სასწავლო კურსის შესწავლისას გამოყენებული ლიტერატურა ემყარება აქტუალურ მიღწევებს. სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს ბიბლიოთეკის ვებგვერდზე არსებული ელექტრონული კატალოგით და სახელმძღვანელოებით. ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით  გადამოწმდა და დადასტურდა ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსებისა და მითითებული ლიტერატურის არსებობა. ბიბლიოთეკის მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია საინტერნეტო წვდომა „Wi-Fi“. აგრეთვე მომხმარებელს აქვს პრინტერით, ასლის გადამღები და სკანერის აპარატით სარგებლობის შესაძლებლობა. ბიბლიოთეკა მუშაობს კვირაში 6 დღე: ორშაბათი - პარასკევი 10:00 სთ. - 20:00 სთ; შაბათი 10:00 სთ. - 16:00 სთ.

პროგრამის ეფექტიან განხორციელებას უზრუნველყოფს საგამოცდო ცენტრი და სხვ., რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისათვის; ფაკულტეტის ყველა სართული უზრუნველყოფილია სახანძრო უსაფრთხოების სისტემებით და საევაკუაციო სქემებით. სტუდენტები და პროგრამის განმახორციელებლები ინფორმირებულნი არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღწურვილობით, რაც საჭიროა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სისტემა: https://gtu.ge/Library/About-Us/Info.php;
- მონაცემთა ბაზები https://gtu.ge/Library/Databases/;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

| |
|---|
| **შეფასება**<br>√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა** |
| პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (შემდგომში - უნივერსიტეტი) წარმოადგენს გრძელვადიან ფინანსურად სტაბილურ და მდგრად ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია თავისი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება. უნივერსიტეტის შემოსავლები არის სტაბილური და ადვილად პროგნოზირებადი. პროგრამის ბიუჯეტში განსაზღვრულია უნივერსიტეტის მიერ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ (შემდგომში - პროგრამა) მხარდაჭერა, ბიუჯეტში მოცემულია პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები.<br>პროგრამის დაფინანსება ხორციელდება ერთიანი საუნივერსიტეტო წესების შესაბამისად. ფინანსები პროგრამებისათვის განსაზღვრულია ფაკულტეტის ბიუჯეტში, რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. პროგრამის ბიუჯეტის გაანგარიშება ხდება არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის (შემდგომში - ფაკულტეტი) მენეჯერის სამსახურის მიერ პროგრამის სასწავლო კომპონენტების და პრაქტიკის მიხედვით.<br>პროგრამის ბიუჯეტში მიმდინარე წლის შემოსავალი შეადგენს 56,377,347 ლარს: ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია: პროგრამაში ჩართული პერსონალის შრომის ანაზღაურების, სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად საჭირო ტექნიკის,ინვენტარისა და სახარჯი მასალების, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და კომუნალური დანახარჯები, წლის განმავლობაში პროგრამის განვითარებისთვის გასაწევი ინფრასტრუქტურული ხარჯი.<br>პროგრამის ფინანსური ანალიზი ცხადყოფს რომ პროგრამა მდგრადია,რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების შედეგად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• სტუ-ს ბიუჯეტი;<br>• სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბიუჯეტი https://gtu.ge/Stmm/;<br>• პროგრამის ბიუჯეტი;<br>• ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br>- |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>- |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>- |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>- |

| |
|---|
| **შეფასება**<br>√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | √ | | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უნივერსიტეტში ხარისხის მართვა ვრცელდება როგორც მთლიანად ინსტიტუციის, ისე თითოეული ფაკულტეტის დონეზე. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (ცენტრალური ოფისი) კოორდინირებას უწევს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების საქმიანობას, თითოეული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კი უზრუნველყოფს უშუალოდ ფაკულტეტის დონეზე უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის მართვის და უზრუნველყოფის პოლიტიკის იმპლემენტაციას, თანამშრომლობს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან და განმახორციელებლებთან, სამუშაო ჯგუფებთან და სხვ.<br>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (როგორც უნივერსიტეტის, ისე ფაკულტეტის) ხელმძღვანელობს ერთიანი პრინციპებით და მიდგომებით - ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში პოლიტიკა, ასევე ხარისხის უზრუნველყოფისა და პროგრამის შეფასების პროცესებისადმი მოთხოვნები განისაზღვრება დაწესებულებაში მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტებით, მათ შორის ძირითადია:<br>▪ „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/108, 17.04.2018 დადგენილების დანართი), რომლის თანახმად, ხარისხი არის ობიექტის (მაგ., საქმიანობა, პროცესი, გაწეული მომსახურება) მახასიათებლების შესაბამისობის დონე დადგენილ მოთხოვნებთან. ამ დოკუმენტის თანახმად, უნივერსიტეტის პოლიტიკა ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში ორიენტირებულია ISO 9000 სერიის სტანდარტებთან და ESG-2015-ის („ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში“) სახელმძღვანელო პრინცი- |

პებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, სისტემის განვითარება ხდება ხარისხის მართვის პრინციპების შესაბამისად, ე. წ. PDCA ციკლის მიხედვით. დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი: 1) ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის შემუშავების პრინციპები (1.1. მომხმარებელზე ორიენტაცია, 1.2. ხელმძღვანელობის ლიდერობა, 1.3. თანამშრომელთა ჩართულობა, 1.4. მუდმივი გაუმჯობესება, 1.5. გადაწყვეტილებების მიღება ფაქტებისა და მონაცემების საფუძველზე, 1.6. ურთიერთსასარგებლო ურთიერთობა პარტნიორებთან) და 2) ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სტანდარტები (2.1. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, 2.2. პროგრამების შემუშავება და დამტკიცება, 2.3. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა, სწავლება და შეფასება, 2.4. სტუდენტის მიღება, პროგრესია, აღიარება და სერტიფიცირება, 2.5. მასწავლებლები/ლექტორები, 2.6. სასწავლო რესურსები და სტუდენტების მხარდაჭერა, 2.7. ინფორმაციის მენეჯმენტი, 2.8. საჯარო ინფორმაცია, 2.9. მიმდინარე მონიტორინგი და პროგრამების პერიოდული შეფასება, 2.10. ხარისხის პერიოდული გარე უზრუნველყოფა);

- „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/261, 23.09.2019 დადგენილების დანართი), რომელიც არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასების და განვითარების პროცესებს, ადგენს პროგრამის შემუშავებისას გასათვალისწინებელ ასპექტებს (პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, მიზნები, შედეგები, მოცულობა კრედიტებში, სწავლების ენა, სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა, პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი, პროგრამის მდგრადობის შეფასება, სხვ.) და პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში შეფასების კრიტერიუმებს. პროგრამის განვითარება მიმდინარეობს ხარისხის მართვის პრინციპების, მათ შორის PDCA ციკლის გამოყენებით.

ზემოთ მითითებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე (შემდგომში - ფაკულტეტი) შემუშავებულია დოკუმენტი „სწავლის შედეგების შეფასება და განვითარება“, რომელიც აღწერს ფაკულტეტზე პროგრამის შეფასებისა და განვითარების ძირითად მიდგომებსა და ასპექტებს (მათ შორის, პროგრამის ხარისხის შეფასების კრიტერიუმებს, პროგრამის ხარისხის შეფასების და განვითარების ეტაპებს, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ციკლს, პროცესების თანმიმდევრობას და სხვ.). ამავე დოკუმენტით განისაზღვრება ფაკულტეტის ადმინისტრაციული ერთეულების როლი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფაში, პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესებში პროგრამის ხელმძღვანელის, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ფაკულტეტის მენეჯერის, ფაკულტეტის სასწავლო ერთეულების (აკადემიური დეპარტამენტების) ფუნქციები და სხვ. მითითებული დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამის კურიკულუმის დანართები ასახავენ პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურთიერთშესაბამისობას, პროგრამის ფორმირებაში მონაწილე კომპონენტებს, სამიზნე ნიშნულებს და სხვ.

აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამის მოდიფიცირებისა და თვითშეფასების პროცესი უზრუნველყო ფაკულტეტზე შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, რომელშიც სხვადასხვა ფორმით იყვნენ ჩართულნი პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი პერსონალის წარმომადგენლები, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და პოტენციურ დამსაქმებელთა წარმომადგენლები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და მთავარი სპეციალისტი, ასევე სტრუქტურული ერთეულები, რომლებმაც მოამზადეს და სამუშაო ჯგუფს გადასცეს საჭირო ინფორმაცია, მონაცემები და სხვ. ჯგუფის მუშაობის შედეგები აისახა შესაბამის ანალიზის დოკუმენტებში და ანგარიშებში. სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა:

- მოქმედ კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან პროგრამისა და მისი კომპონენტების

(სილაბუსებში მითითებული ინფორმაციის) შესაბამისობა;

- პროგრამის მიზნების შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან; პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურთიერთშესაბამისობა; პროგრამის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა (განისაზღვრა პროგრამის თითოეული შედეგეგის ფორმირებაში მონაწილე პროგრამის კომპონენტები, მათი მონაწილეობის დონე (საფუძვლების შექმნა, გაღრმავება, განმტკიცება) და სამიზნე ნიშნულები);
- პროგრამის რესურსებით უზუნველყოფა, მათ შორის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსის (ლაბორატორიული აღჭურვილობის, მასალების, სათანადო ლიტერატურის და სხვ.) არსებობა, ადამიანური რესურსის (პროგრამის კომპონენტების სპეციფიკის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე განმახორციელებელი პერსონალის) საკმარისობა და სხვ.;
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მოსაზრებები;
- შრომის ბაზრის მოთხოვნები და ტენდენციები;
- გარე შეფასების შედეგები და პროგრამის გამორციელების უკვე არსებული გამოცდილება (მათ შორის, პროგრამის გასაუმჯობესებელი ასპექტები, აკადემიური მოსწრება, პროგრამაზე ჩარიცხვების დინამიკა, პროგრამიდან განთესვის, მათ შორის მობილობით გადასვლის, მაჩვეებელი და მიზეზები, პროგრამის სტუდენტების მიერ სტატუსის შეჩერების მიზეზები და სხვ.).

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულ შეხვედრებზე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებლებმა დეტალურად ისაუბრეს პროგრამის მოდიფიცირებისა და შეფასების ეტაპებზე, შესწავლილ პრაქტიკებზე და გარე შეფასების შედეგებზე, გამოწვევებზე და მიგნებებზე. პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებლებმა აღნიშნეს ამ პროცესებში როგორც ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როლი და მნიშვნელობა, ისე უშუალოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის აქტიური ჩართულობა და მისგან მიღებული მხარდაჭერა. ასევე, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან გასაუბრებით დადასტურდა მათი ჩართულობა პროგრამის შემუშავების/შეფასების პროცესში და მათი მხრიდან პროგრამის დადებითი შეფასება.

წარმოდგენილი დოკუმენტების და ინფორმაციის შესწავლის, ასევე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ:

- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას აქვს რელევანტური თეორიული საფუძვლები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ სისტემის მდგრადობას. აღნიშნული დასტურდება უნივერსიტეტში მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტებით.
- არსებობს ხარისხის მართვის სისტემის განვითარების მზაობა, ხედვა და ამ მიმართულებით უკვე გადადგმული ნაბიჯები, რაზეც ინტერვიუს ფორმატში ისაუბრა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა;
- პროგრამის მოდიფიცირების და შეფასების პროცესი იყო კომპლექსური და თანამშრომლობითი: პროგრამის მოდიფიცირება და შეფასება განხორციელდა სამუშაო ჯგუფის მიერ, არსებული მარეგულირების წესების შესაბანმისად, გამჭვერვალედ და კომპლექსურად. პროგრამის მოდიფიცირების და თვითშეფასების პროცესში იყო იდენტიფიცირებული პროგრამის გასაუმჯობესებელი ასპექტები და განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მისი გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით. ასევე, იყო უზრუნველყოფილი დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულებების კვლევა, მათი ჩართულობა და ინფორმირება, პროგრამის განხორციელებით უკვე მიღებული გამოცდილების და გარე შეფასების გათვალისწინება და სხვ. აღნიშნული დასტურდება როგორ დოკუმენტურად, ისე ინტერვიუს შედეგებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ (აკადემიური საბჭოს №01-05-

04/261, 23.09.2019 დადგენილების დანართი);

- „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/108, 17.04.2018 დადგენილების დანართი);
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება http://gtu.ge/quality/About-Us/Statue.php;
- არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დოკუმენტი „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“;
- საფაკულტეტი კომისიის, დეპარტამენტის და ფაკულტეტის საბჭოს ოქმები;
- პროგრამის კურიკულუმი და დანართები (პროგრამის სწავლის შედეგები; პროგრამის სავალდებულო კომპონენტების მონაწილეობა პროგრამის შედეგების ფორმირებაში; პროგრამის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულები (დამატებით წარმოდგენილი);
- ანალიზის დოკუმენტები (სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, განმახორციელებელთა, დამსაქმებელთა გამოკითხვები და შეფასებები);
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):**

-

**შეფასება**

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტში პროგრამის ხარისხის გარე შეფასების ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს აკრედიტაციის პროცესი და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. ასეთი გარე შეფასება განხორციელდა 2020 წელს, რა დროსაც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ შემუშავდა რეკომენდაციები (ინფორმაცია რეკომენდაციების შესრულების შესახებ დაწესებულების მიერ მითითებულია აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის რუბრიკაში „საგანმანათლებლო პროგრამის მოკლე მიმოხილვა“). წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და გასაუბრებების შედეგებით დგინდება, რომ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულება განხორციელდა შემდეგნაირად:

| საბჭოს რეკომენდაცია | შესრულების აღწერა | მტკიცებულება |
|---|---|---|
| 1) საბჭოს მიერ გაზიარებული ექსპერტთა რეკომენდაციები | | |
| ა) რეკომენდებულია საბაკალავრო პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირების გადახედვა და დახვეწა, რათა თითოეული შედეგის აღწერა მაქსიმალურად იყოს მისადაგებ- | პროგრამით მისაღწევი ყველა სწავლის შედეგი (სულ 9) ორიენტირებულია პროგრამის შესაბამის სფეროზე - აღწერს მისაღწევ დარგობრივ კომპეტენციებს. ანალოგიური მიდგომა გამოყენებულია დარგობრივი სასწავლო კურსების შემთხვევებში. | პროგრამის კურიკულუმი, სილაბუსები |

| | | |
|---|---|---|
| ული კონკრეტული სფეროს თავისებურებებთან | | |
| ბ) რეკომენდებულია, გასაუბრებასა და პორტფოლიოს წარდგენის პროცედურის, პორტფოლიოს შეფასების კრიტერიუმების უფრო მკაფიოდ გაწერა და აბიტურიენტებისათვის აღნიშნული მექანიზმის არსის და შეფასების კრიტერიუმების დეტალურად გაცნობა | ფაკულტეტის ვებგვრდზე რუბრკაში „ინფორმაცია აბიტურიენტებისთვის“ მითითებულია „ხატვასა და ხაზვაში გასაუბრების ჩატარების ფორმა და შეფასების სისტემა“, კერძოდ: გასაუბრება ხატვაში მიზნად ისახავს ნატურაში მოცემული საგნის აგების და გრაფიკულად შესრულების უნარ-ჩვევების შემოწმებას. გასაუბრებაში მონაწილე აბიტურიენტს ევალება კომისიას წარუდგინოს საკუთარი ხელით შესრულებული თაბაშირის მოდელის (თავი), გეომეტრიული ფიგურის ან რაიმე სხვა საგნის შავი ფერის ფანქრით თეთრ ფურცელზე შესრულებული მინიმუმ სამი გრაფიკული ნახატი და კომისიის წევრების თანდასწრებით შეასრულოს მის მიერ წარმოდგენილი ნამუშევრებიდან ერთ–ერთის მცირე ფრაგმენტი. იქვე მოცემულია წარსადგენი ნაშრომების ნიმუშები და მითითებულია, რომ ხატვაში გასაუბრების შედეგების მიხედვით (გაიარა ან ვერ გაიარა) დგინდება აბიტურიენტთა კომპეტენცია შესაბამის საგნებში (შეფასების სისტემა და კრიტერიუმები ამ რუბრიკაში მითითებული არ არის). ამავე რუბრიკიდან ირკვევა, რომ გასაუბრების შედეგები შემდეგ დღესვე განთავსდება სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიაზინის ფაკულტეტის ვებგვერდზე. აღწერილია გასაუბრების შედეგებთან დაკავშირებული საპრეტენზიო განაცხადების მიღებისა და საპრეტენზიო კომისიის მიერ მათი განხილვის საკითხები. | ფაკულტეტის ვებგვრდი: (https://gtu.ge/Arch/News/cnobari%20abiturientebistvis.pdf) |
| გ) რეკომენდებულის პროგრამის აღწეით ნაწილსა და სტრუქტურაში მკაფიოდ გამოიყოს ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები, რაც უკეთ უზრუნველყოფს სტრუქტურაში დარგის სპეციფიკის ზედმიწევნით ზუსტად ასახვას | პროგრამის კურიკულუმის სასწავლო გეგმაში გამოიყო რუბრიკა „ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები“, რომელშიც მკაფიო გამიჯვნის გარეშე მითითებულია როგორც სწავლის ძირითადი სფეროს პროგრამის ყველა კომპონენტი, ისე რამდენიმე სასწავლო კურსი (მაგ., „წრფივი ალგებრისა და კალკულურის ელემენტები, „უცხოური ენა“) და საგანთა ერთობლიობა (მაგ., „არჩევითი ჰუმანიტარული საგნები“ „თავისუფალი კომპონენტი“), რომლებიც სწავლის ძირითად სფეროს არ მიეკუთვნება. | პროგრამის კურიკულუმი (გვ. 5-10) |
| დ) რეკომენდებულია ქართულენოვანი სასწავლო რესურსების განდიდრება, როგორც ორიგინალური სახელმძღვანელოების, ასევე, სალექციო კურსების შექმნის გზით | სილაბუსებით გათვალისწინებული სახელმძღვანელოები იძებნებოდა ბიბლიოთეკაში. ასევე, შემუშავებულია 2 ახალი სასწავლო კურსი. | სახელმძღვანელოების არსებობა შემოწმდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით |
| ე) რეკომენდებულია საბაკალავრო პროექტის სილაბუსში უფრო მკაფიოდ გაიწეროს საკვალიფიკაციო მოთხოვნები (მაგალითად, შექმნილი ნაწარმის/კოლექციის ერთეულთა მინიმალური რაოდენობა, მისი სინთეზური ხასიათი, შეფასების კრიტერიუმები) და საკუთრივ დაცვის ფორმატი | სილაბუსში მითითებულია შეფასების შუალედური და დასკვნითი ფორმების კომპონენტები, მათი რაოდენობა, ქულები და შეფასების კრიტერიუმები, მაგ., სემესტრული შეფასებები - 10 პრაქტიკული საშინაო დავალება (სულ 10 ქულა) და 2 კლაუზურის (სულ 20 ქულა) შესრულება, შუალედური გამოცდა - კონკრეტულ თემაზე მოცემული ეტაპისთვის საბაკალავრო პროექტის შესრულებული ნაწილის (მოდელის კომპოზიციური გადაწყვეტა, ტექნიკური ესკიზი, კონსტრუქციული ნახაზი (სულ 30 ქულა), დასკვნითი გამოცდა - გულისხმობს პორთფოლიოსა და მასალაში შესრულებული კოლექციის (3 კოსტიუმი) დასრულებული სახით წარდგენას და დაცვას (სულ 40 ქულა). საბაკალავრო ნაშრომს აფასებს არანაკლებ 3 წევრისაგან შემდგარი კომისია: აკადემიური/მოწვეული პერსონალი. დაცვას ესწრება ასევე მოწვეული ექსპერტები - პრაქტიკოსი დიზაინერი და ბიზნეს სექტორის წარმომადგენელი. | სილაბუსი „საბაკალავრო პროექტი“ |
| ვ) რეკომენდებულის, კარიერული განვითარების სამსახურის/სერვისის ცნობადობის ამაღლება სტუდენტთა შორის და მისი გააქტიურება სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით | ინტერვიუს დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იციან უსდ-ს მიერ დასაქმების ხელშეწყობისა და სტუდენტებისათვის რეკომენდაციების გაცემის შესახებ. აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესრულებას ხელსუწყობს შემდეგი გარემოება - ფაკულტეტის ვებგვერდზე ამოქმედდება ღილაკი „ვაკანსია“, რომლის გამოყენებით სტუდენტები მიიღებენ ინფორმაციას გამოცხადებული ვაკანსიების შესახებ. | სტუდენტებთან, კურსდათავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგები, ფაკულტეტის ვებგვერდი |

| 2) საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები | | |
|---|---|---|
| ა) მიზანშეწონილია, პროგრამაში ისეთი საგნების სწავლება, რომლებიც სტუდენტს ფართოდ ასწავლის დარგის ისტორიას, ტენდენციებს. აღნიშნული საკითხები მწირედ არის წარმოდგენილი პროგრამაში | სასწავლო კურსების „ტექსტილის ნაწარმის საწყისი ტექნოლოგიური დამუშავება“, „გამოყენებითი ანთროპოლოგია და ბიომექანიკის საფუძვლები“, „ტყავის ნაწარმის კონსტრუირების საფუძვლები - ანთროპომეტრია“ და „დარგის საწარმოო ტექნიკა“ შინაარსში გათვალისწინებულია დარგის ისტორიასა და ტენდენციების საკითხები. | პროგრამის კურიკულუმი (სასწავლო გეგმა), მითიებული სასწავლო კურსების სილაბუსები. |
| ბ) საგნები „დარგის მენეჯმენტი“ და „ნაწარმის მარკეტინგი და რეკლამირება“ ზოგადი და სტანდარტულია. აქცენტი უნდა გაკეთდეს დარგის სპეციფიკაზე, გამდიდრდეს პრაქტიკული საკითხებით, მაგალითებით და პრაქტიკული სიტუაციების ანალიზით. ორივე საგანი მთლიანად შესაცვლელია როგორ სტრუქტურულად, ისე შინაარსობრივად. | გაუქმდა მითითებული სასწავლო კურსები, მათ ნაცვლად პროგრამას დაემატა სასწავლო კურსები „მოდა და ბიზნესი“ (კურსის მიზანია სტუდენტს მისცეს ფართო ცოდნა მოდის ინდუსტრიისა და ბიზნესის არსის, გარემოს, ძირითადი მეთოდების, პრინციპების, ფუნქციების, ბაზრისა და ბიზნეს-სისტემის შესახებ; გამოუმუშავოს მოდის ინდუსტრიაში აქტუალური ხედვისა და კრეატიული სამეწარმეო აზროვნების უნარი - მოდის ბიზნეს-სისტემაში სტარტაპისა და პროექტების დაგეგმვის, ორგანიზებისა და მართვისათვის) და „მარკეტინგის საფუძვლები“ (კურსის მიზანია, სტუდენტს მისცეს ფართო ცოდნა მარკეტინგის ძირითადი ცნებების, განვითარების ეტაპებისა და კონცეფციების, კომპანიის მარკეტინგული გარემოსა და მარკეტინგული სტრატეგიის, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების სისტემის, პირდაპირი და ონლაინმარკეტინგის შესახებ და განუვითაროს მარკეტინგული საქმიანობისათვის საჭირო უნარები). | სილაბუსები „მოდა და ბიზნესი“; „მარკეტინგის საფუძვლები“ |
| გ) სტუდენტთა შეფასების მინიმალური კომპეტენციის რაოდენობრივი მაჩვენებლები შესაბამისობაში მოვიდეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსთან | სილაბუსებში (სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის აღწერაში) კორექტირებულია ჩანაწერები მინიმალურ ზღვართან დაკავშირებული ჩანაწერები (მაგ., შუალედურ შეფასებაში მინიმალური ზღვარი = 30 ქულას, დასკვნით შეფასებაში = 11 ქულას (სულ ჯამში 41 ქულა), რაც იძლევა დამოუკიდებელი მუშაობით და დამატებით გამოცდაზე გასვლით მიღწეული შედეგის გაიმჯობესების შესაძლებლობას. | სასწავლო კურსების სილაბუსები |

პროგრამის გარე შეფასება განახორციელეს პოტენციურმა დამსაქმებლებმა, რომლებმაც ინტერვიუს დროს დეტალურად ისაუბრეს პროგრამის შემუშავებისა და შეფასების პროცესში ჩართულობაზე. მათ აღნიშნეს, რომ შეიმუშავეს რეკომენდაციები, რომლებიც იყო გათვალისწინებული, შემდგომ კი განიხილეს პროგრამის დასრულებული პროექტი, რაც გახდა პროგრამის დადებითი შეფასების საფუძველი. ასევე, არსებობს საქართველს უსდ-ების წარმომადგენლების მიერ პროგრამის დადებითი შეფასებები, რაც დასტურდება ერთ შემთხვევაში - უსდ-ს პროფესორის, დარგის სპეციალისტის, მეორე შემთხვევაში - უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ოფიციალური წერილებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საქართველს უსდ-ს პერსონალის მიერ პროგრამის გარე შეფასება;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

–

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

– მიზანშეწონილია პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის უსდ-ების დარგის სპეციალისტების მიერ;
– მიზანშეწონილია სასწავლო გეგმის სასწავლო კურსების ჩამონათვალში მკაფიოდ გაიმიჯნოს სწავლის ძირითადი სფეროს და თავისუფალი კომპონენტები, რათა გამოირიცხოს მითითებული ინფორმაციის არასწორი ინტერპრეტაცია.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

–

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

–

| |
|---|
| **შეფასება**<br>√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება |
|---|
| პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უნივერსიტეტში პროგრამის შეფასებას ახორციელებს რექტორის ბრძანებით №01-09-10/273, 17.11. 2019 (https://gtu.ge/quality/Files/Pdf/brdzaneba%20da%20reglamenti.pdf) შექმნილი საფაკულტეტო კომისია (შემდგომში - კომისია). კომისიას თავმჯდომარეობას უწევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კომისიის მუშაობის საერთო ხელმძღვანელობას და კონტროლს კი ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. კომისია, უნივერსიტეტში მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად, დადგენილი პერიოდულობით აფასებს პროგრამის სტრუქტურას, შინაარსს, რესურსებით უზრუნველყოფას, სტანდარტებთან შესაბამისობას და სხვ., შეიმუშავებს რეკომენდაციებს და მუშაობის შემაჯამებელ შედეგებს ასახავს დასკვნით ოქმში.<br>პროგრამის შეფასების პროცესის ეტაპები და მათი თანმიმდევრობა, შეფასებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები და სხვ. რეგულირდება დოკუმენტით „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“, რომელიც, ასევე, აღწერს პროგრამის ხარისხის შეფასების ერთწლიან ციკლს. პროგრამის შეფასება მოიაზრებს შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებისა და სხვადასხვა კრიტერიუმების გამოყენებას, მათ შორისაა პროგრამის განხორციელების ხარისხი (მაგ., სასწავლო პროცესის ხარისხი, რესურსების საკმარისობა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების ხარისხის შეფასება, სტუდენტთა მიერ პროგრამის და მისი კომპონენტების შეფასება, და სხვ.), პროგრამის ათვისების ხარისხი (მაგ., აკადემიური მოსწრების ანალიზი და პროგრამის შედეგების მიღწევის შესწავლა - დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან დადარება და სხვ.), პროგრამის დინამიკის შეფასება სხვადასხვა რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით (მაგ., პროგრამით სწავლის დაინტერესებულ პირთა რაოდენობა, პროგრამაზე ჩარიცხვის და პროგრამიდან განთესვის, სტატუსის შეჩერება/აღდგენის დინამიკა და სხვ.).<br>პროგრამის ხარისხის შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად ფაკულტეტზე აქტიურად გამოიყენება კითხვარების მეშვეობით დაინტერესებულ მხარეთა (პროგრამის სტუდენტები, განმახორციელებლები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) მოსაზრებების შესწავლა, რაც დასტურდება როგორც უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, ისე დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრების შედეგებით. ასევე, პროგრამის შეფასების მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს პროგრამის ათვისების (დაგეგმილი შედეგების მიღწევის) მაჩვენებელი. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის განმარტებით, აკრედიტაციის მიზნით წარდგენილი პროგრამა თავისი შინაარსით განსხვავდება ადრე მოქმედი პროგრამისაგან, რის გამო პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის მითითებულია დაგეგმილი (მოსალოდნელი) სამიზნე ნიშნულები (ასახულია შესაბამის ცხრილში). აქვე აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტზე შემუშავებული დოკუმენტი „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“ იძლევა შესაბამისი ინფორმაციის მიღებისა და ანალიზის სრულ შესაძლებლობას - მაგალითად, დოკუმენტს (იხ. გვ.12) |

ერთვის დანართი, რომელშიც თითოეული სწავლის შედეგისთვის მისათითებელია პროგრამის შედეგის ფორმირებაში მონაწილე სასწავლო კურსები, შეფასების ინდიკატორები და შეფასების ინსტრუმენტები (ექსპეტებისთვის წარმოდგენილი დანართი იყო არასრულად შვსებული და არ იძლეოდა ამომწურავ ინფორმაციას სწავლის შედეგების დადასტურებისათვის აუცილებელი შეფასების კომპონენტის შესახებ). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის განმარტებით, პროგრამის შედეგების მიღწევის და პროგრამის ათვისების ხარისხის დადგენა განხორციელდება პროგრამის ერთი ციკლის დასრულების შემდგომ, რა დროსაც მოხდება დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან მიღწეული შედეგების დადარება, შეუსაბამობის (არსებობის შემთხვევაში) მიზეზების ანალიზი, საჭიროების შემთხვევაში - ცვლილებების დაგეგმვა და განხორციელება, მათ შორის პროგრამაში ცვლილებების და/ან სამიზნე ნიშნულების კორექტირების მიმართულებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის განმარტებით, პროგრამის კომპონენტების შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელისა და განმახორციელებლების მიერ ყოველწლიურად მიმდინარეობს მიღებული შედეგების შესწავლა-ანალიზი (გამოიყენება გაუსის მრუდი).

ინტერვიუს დროს პროგრამის განმახორციელებლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის შეფასების პროცესი არის სისტემატური, კოორდინირებული და თანამშრომლობითი. ასევე, პროგრამის განმახორციელებლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი იყო როგორც შრომის ბაზრის მოთხოვნების და დამსაქმებლების მოსაზრებების გათვალისწინება, ისე არსებული საუკეთესო პრაქტიკის შესწავლის მიზნით უცხოეთის უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან დადარება. მათ აღნიშნეს, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში იყო შესწავლილი და გათვალისწინებული წამყვანი ევროპული უნივერსიტეტების გამოცდილება (თვითშეფასების ანგარისშის თანახმად, ეს იყო ლისაბონის უნივერსიტეტი - პორტუგალია, ლისაბონი http://www.fa.ulisboa.pt/index.php/pt/22-doutoramento-em-design; ვიტაუტას მაგნუს უნივერსიტეტი (კაუნასი, ლიტვა) http://www.vdu.lt/en/faculties/faculty-of-arts/; საქსიონის გამოყენებითი ხელოვნების უნივერსიტეტი (ნიდერლანდები, ენსხედე) https://www.saxion.edu/programmes/bachelor/fashion-and-textile-technologies და ნეიდერჰაინის გამოყენებითი ხელოვნების უნივერსიტეტი (გერმანია, მენხენგლადბახი) https://www.hs-niederrhein.de/faculties/textile-and-clothing-technology/prospective-students/#c23782. ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებლებმა განმარტეს ზემოთ მითითებული უცხოეთის უსდ-ების შერჩევის მიზეზი, თუმცა დოკუმენტირებული ინფორმაციის არარსებობის გამო არ დგინდება ამ პროგრამებთან დადარების შედეგები და გათვალისწინებული ასპექტები (მაგ., პროგრამის სწავლის შედეგები, სტრუქტურა, შინაარსი და/ან სხვ.) როგორც მთლიანად პროგრამის, ისე მისი კომპონენტების დონეზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/261, 23.09.2019 დადგენილების დანართი);
- „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/108, 17.04.2018 დადგენილების დანართი);
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება http://gtu.ge/quality/About-Us/Statue.php;
- არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დოკუმენტი „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“;
- საფაკულტეტი კომისიის, დეპარტამენტის და ფაკულტეტის საბჭოს ოქმები;
- ანალიზის დოკუმენტები (სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, განმახორციელებელთა, დამსაქმებელთა გამოკითხვები და შეფასებები);
- ინტერვიუს შედეგები.

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br>- უცხოეთის უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან დადარების შედეგები უნდა იყოს ფორმალიზებული ანალიზის დოკუმენტში, რომლის მეშვეობით დადგინდება უცხოეთის უსდ-ების პროგრამებთან დადარების შედეგები, მათ შორის - თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით რა ასპექტები და მიდგომები იყო გათვალისწინებული პროგრამაში და/ან მის ცალკეულ კომპონენტებში. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>- |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>- |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>- |
| **შეფასება**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | √ | | | |

## თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

**არ ერთვის**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

„მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 45

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | √ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | √ | | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | √ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | √ | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | √ | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

მაია გრძელიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი:

ეკატერინე ჩხუტიშვილი

თამარ გვიანიშვილი

ქეთევან ოჩხიკიძე